საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორც ბოლშევიკური სიცრუეა, ტყუილებით და ჭორებით ბუტის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი-კვირა, 29-31 ივლისი. 2022 წ. №105-106 (9443-9444) ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 1 ლარი

კელი დეგნანი:

დასავლეთს არასოდეს უცდია „საქართველოს ომში ჩათრევა“!

③

ბიძინა ივანიშვილი:

საქართველოს ურთიერთობები ჩვენს უმთავრეს პარტნიორებთან, ამერიკასთან და ევროკავშირთან, არ უნდა დაზიანდეს...



②

ვახტანგ კაპანაძე: რთული სათქმელია, სად ვიქნებოდით აშშ-ის დახმარების გარეშე ან საერთოდ თუ

⑧ ვიქნებოდით, თუ არა!

ლოის თვალზე

გვაქვს ინფორმაცია, თუ რა ხდებოდა ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებთან დახურულ შეხვედრებზე... თუ გახდა საჭირო, ყველაფერს ვიტყვით ღიად!..

სოზარ სუბარი

იაკობ ლეჟავა: ორი ღია წერილი, რომლებიც

④ მთელ მსოფლიოს თუ არა, საქართველოს ნამდვილად შეძრავს!..



⑧ **ვიქტორ ყიფიანი:**

ეს არის მორიგი წნეხი, რომლის მარწუხებშიც ექცევა „კრედიტ სუისი“...

იუსტინე ჯანელიძე

⑦

ლეგენდარული ქართველი ქირურგი

ომარ მარგველაშვილის მოგონებები

ვინ ეტიოს ომიძე 80 წლისაა

⑥

ჩვენი ენერგიადაუშრეტელი რედაქტორი

ტვირთნაკადის მოზიდვის თვალსაზრისით

⑪

სიძნელეები უფრო ყაზახეთის და აზერბაიჯანის ტერიტორიებზეა, ვიდრე საქართველოს მხარეს!

ქართველ ხალხს აქვს სიბრძნე, რომელიც ურთულეს გამოწვევებთან ღირსეულად გამკლავების შესაძლებლობას აძლევს!..

ბიძინა ივანიშვილი:



ბიძინა ივანიშვილის განცხადება

„უპირველეს ყოვლისა, მინდა, ჩემი ღრმა პატივისცემა კიდევ ერთხელ გამოვხატო ქართული საზოგადოების მიმართ, რომელმაც არაერთგზის დაამტკიცა, რომ ევროპული ფასეულობების ერთგულია. დამოუკიდებლობის აღდგენიდან 30 წლის თავზე, ქართველმა ხალხმა დღეს კიდევ ერთხელ აჩვენა, რომ ღირსება, თავისუფლება და დამოუკიდებლობა მისი უმთავრესი ღირებულებებია. ამასთან, ქართულმა საზოგადოებამ ყველას დაუმტკიცა, რომ ხანმოკლე დემოკრატიული გამოცდილების მიუხედავად, აქვს სიბრძნე, რომელიც ურთულეს გამოწვევებთან ღირსეულად გამკლავების შესაძლებლობას აძლევს.

უკვე წელიწადნახევარი გავიდა მას შემდეგ, რაც საზოგადოებას პოლიტიკიდან ჩემი გასვლის გადაწყვეტილების შესახებ ვაცნობე და მას შემდეგ, ჩემივე გადაწყვეტილებას სრულად ვიცავდი და ვიცავ. მთელი ამ პერიოდის მანძილზე, ერთადერთი საჯარო განცხადება გამოვაქვეყნე და ისიც მხოლოდ იმისათვის, რომ ჩემი სახელით სპეკულირების საშუალება არავისთვის მიმეცა. არ მინდოდა, პოლიტიკურ პროცესებზე არათუ მე, თუნდაც, ჩემს ფაქტორს რაიმე გავლენა ჰქონოდა და საჯარო სივრციდან ჩემი სრული დისტანცირების მიზეზი სწორედ ეს იყო და არის.

ამავდროულად, როგორც ამ ქვეყნის შვილი და მისი ერთ-ერთი გულშემატკივარი, ბუნებრივია, საქართველოში მიმდინარე მოვლენებს მთელი ყურადღებით ვადევნებ თვალყურს. რეგიონში არსებული ურთულესი პოლიტიკური ვითარების ფონზე, საქართველოს და მის მმართველ გუნდს გასული თვეების განმავლობაში ძალზე მტკივნეული პროცესების გავლა უწევდა და უწევს. საქართველოსთვის და მისი ხელისუფლებისთვის ვითარებას განსაკუთრებით ართულებს ის გარემოება, რომ გარკვეული ძალები საქართველოს ომში ჩათრევას აქტიურად ცდილობდნენ და მათი ეს სურვილი და მიზანი, სამწუხაროდ, დღესაც აქტუალურია.

გაფრთხილება ხელისუფლებას:

საქართველოს ურთიერთობები უმთავრეს პარტნიორებთან – ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროკავშირთან, არ უნდა დაზიანდეს... ჩემს ფინანსურ პრობლემებს მე თვითონ მივხედავ!

უდიდესი სირთულეების მიუხედავად, მმართველმა გუნდმა სწორად იმუშავა, სწორი და პრინციპული პოზიცია დაიკავა და მთავარი სირთულე, ომის საფრთხის პირველი ეტაპი უკვე გადალახა. ამ ძალისხმევის წყალობით, საქართველოს ომში ჩათრევის უშუალო საფრთხე დღეს მაქსიმალურად არის განეიტრალებული. თუმცა, აქვე აღვნიშნავ, რომ უკრაინაში ომის დასრულებამდე, გარკვეული რისკები ჯერ კიდევ რჩება და როგორც ხელისუფლებას, ისე საზოგადოებას მაქსიმალური სიფრთხილე მართებს, რათა საქართველომ საბედისწერო ომი საბოლოოდ აიცილოს თავიდან.

ამასთან, დღეს, როდესაც ომის უშუალო საფრთხე უკვე მაქსიმალურად არის განეიტრალებული, მიმაჩნია, რომ მმართველ გუნდს აქვს შესაძლებლობა, თავისი ყურადღება მეტწილად კიდევ ერთ უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტზე გადაიტანოს და იზრუნოს, რომ საქართველოს ურთიერთობები სტრატეგიულ პარტნიორთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან და ევროკავშირთან არ დაზიანდეს.

რაც შეეხება ჩემს პირად პრობლემას, რომელიც შვეიცარიულ ბანკთან ურთიერთობაში წარმოიშვა და დღესაც აქტუალურია, მიმაჩნია, რომ საქართველოში მიმდინარე პროცესებთან მას პირდაპირი კავშირი აქვს. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველომ რთულ სიტუაციას, პრაქტიკულად, თავი უკვე გაართვა და ომის უშუალო საფრთხე გადაიარა, მირჩევნია, ჩემი და შვეიცარიული ბანკის ურთიერთობა ჩემ პირად პრობლემად დავტოვო და ეს პრობლემა საზოგადოებას ზედმეტად თავს არ მოვახვიო. აქ იმასაც არა აქვს მნიშვნელობა, თუ რაზე ვგეგმავდი შვეიცარიული ბანკის მიერ გაჩერებული თანხების დახარჯვას – კერძო მიზნებისთვის თუ საზოგადოებრივი საჭიროებისთვის. მირჩევნია, ბანკის მიერ შექმნილი პრობლემა საზოგადოებამ ყველა შემთხვევაში ჩემ პირად პრობლემად განიხილოს. შედარებით დეტალურ განმარტებებს ამ საქმეზე ჩემი ადვოკატი აკეთებდა და მომავალშიც გააკეთებს.

ჩემთვის მთავარია, საქართველომ შეძლოს ურთულესი ვითარებიდან საბოლოოდ სათანადოდ გამოსვლა და მშვიდობის შენარჩუნება, ჩემ პირად საკითხზე კი, მე თავად ვიზრუნებ და ამ პრობლემით საზოგადოების ზედმეტად დატვირთვას არ შევეცდები.

დასასრულს, რადგან საჯაროდ დაისვა შეკითხვა უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ჩემსა და ამერიკის ელჩს შორის შეხვედრის გამართვის შესახებ, საზოგადოებას მინდა განვუმარტო, რომ ამგვარი შეხვედრა ელჩის თხოვნით 21 მარტს ნამდვილად შედგა და ის დაახლოებით სამ საათს გაგრძელდა“.

თუნდაც პატარა სიმართლე, ძალიან მნიშვნელოვანია

ბიძინა ივანიშვილის წერილის შეფასება

„ქართული ოცნების“ წარმომადგენლები საქართველოს ექს-პრემიერის, მმართველი პარტიის დამფუძნებლის ბიძინა ივანიშვილის წერილს ეხმიანებიან და აცხადებენ, რომ ის „ძალიან მაღალ შეფასებას იმსახურებს“.

...როგორც ჩანს, დაგროვდა კრიტიკული კითხვები, რომელსაც აუცილებლად ესაჭიროება მკაფიო პასუხები, ვფიქრობ, აშშ-ის საელჩომ და ელჩმა აუცილებლად უნდა გააკეთოს მკაფიო, ამომწურავი განცხადება.

ამ ყველაფერს აუცილებლად უნდა გაეცეს პასუხი, რადგან საქმე ეხება მოსახლეობისგან ლეგიტიმურ ინტერესს. სტრატეგიული პარტნიორობა აშშ-ისთან, ევროკავშირთან შეუქცევადი პროცესია და ვერავინ და ვერანაირი ძალები ამას ხელს ვერ შეუშლიან, მაგრამ კიდევ უფრო განმტკიცებისთვის და იმისთვის, რომ ეს ურთიერთობები არ დაზიანდეს, მიმაჩნია საჭიროდ, რომ ელჩმა მკაფიო და ამომწურავი პოზიცია დააფიქსიროს. %ივანისშვილის) განცხადება მას შემდეგ გაკეთდა, რაც რამდენიმე დღის უკან ქალბატონმა ელჩმა უარყო ასეთი სახის შეხვედრა და თქვა, რომ დიდი ხანია, არ შეხვედრია ბატონ ივანიშვილს. მიმაჩნია, რომ განცხადებაში თემა არ უნდა გაშლილიყო, რადგან ივანიშვილი ამ ქვეყნის გულშემატკივარია და არის პოლიტიკიდან გაწეული, რჩება ამ ქვეყნის ერთ- ერთ მთავარ მხარდამჭერად, შესაბამისად, ვფიქრობ, ყველაზე კარგი და აუცილებელი იქნება ყველაფერ ამის ნათელი მოფინოს და შინაარსობრივ მხარეზე გააკეთოს საელჩომ და თვითონ ელჩმა განცხადება...

ალუდა ღუდუშაური

* * *

ბიძინა ივანიშვილის წერილი ძალიან მაღალ შეფასებას იმსახურებს, რადგან გამსჭვალულია პატრიოტული სულისკვეთებით, ქვეყნისთვის პრიორიტეტულ საკითხებზე პოზიცია არის წარმოდგენილი და დადებითად არის შესაფასებელი ის დამოკიდებულებები, რომელიც ამ საჭირბოროტო საკითხებზე არსებობს.

რაც შეეხება კონკრეტულ ეპიზოდს, რაზეც კითხვა დაისვა, არსებობს კითხვები, ბუნებრივია, გარკვეული ინტერესი კიდევ უფრო მეტად გააღვივა და შეხვედრის დადასტურებამ გარკვეული როლი ითამაშა ინტერესის გაზრდის თვალსაზრისით, მაგრამ სამწუხაროდ, ამ თემასა და გარკვეულ დეტალებზე საუბრის უფლება არ მაქვს. უმჯობესია, დეტალებზე საუბრისგან თავი შევიკავო. სამწუხაროდ, იგრძნობა და აშკარად შეიმჩნევა გარკვეული პოლიტიკური ძალების არსებობა ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც, რომელთაც საქართველოში ომის გაჩაღება სურთ. ეს განპირობებულია სხვადასხვა მოტივაციით გარკვეული პოლიტიკური ძალების მხრიდან. რაც შეეხება იმას, ამ შემთხვევაში ინდივიდუალურად ვის შეიძლება, ჰქონდეს ამაში მონაწილეობის სურვილი, მზადყოფნა, განწყობა, ეს პოლიტიკური ძალები ვის წარმოადგენენ და ა.შ. ამის თქმისგან თავი უნდა შევიკავო, რადგან კონკრეტულ პირებზე მითითება გამიჭირდება. თუმცა, მესმის, რომ ამ თემაზე საზოგადოებაში ინტერესი არსებობს.

მიხეილ სარჯველაძე.

* * *

ეს წერილი კიდევ ერთხელ მიუთითებს, თუ რამდენად გულწრფელი დამოკიდებულება აქვს ქვეყნისადმი და როგორი პატრიოტია ბატონი ბიძინა ივანიშვილი. ის ძალიან გამჭვირვალედ და პირდაპირ ამბობს სიმართლეს – ეს ყოველთვის იყო მისი ხელწერა, როდესაც პოლიტიკაში გახლდათ და ახლაც, როდესაც პოლიტიკიდან გასულია, მისი ხელწერა არის იგივე.

ის თავის საზოგადოებას სიმართლეს ეუბნება. დღეს, თუნდაც უბრალო და პატარა სიმართლეც ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ საზოგადოება არის ახლა ინფორმირებული, დღეს უკეთ ერკვევა პოლიტიკაში, ხედავს, თუ რა არის მშვიდობის ფასი, ხედავს, რა არის დემოკრატიული ინსტიტუტების ფასი და

კელი დეგნანი: დასავლეთს არასოდეს უცდია „საქართველოს ომში ჩათრევა“!

ავოს თავისი მართებული ადგილი ევროატლანტიკურ ერთა ოჯახში.

— „საქართველოს დევიზია: „ძალა ერთობაშია“ — ევროკავშირის კანდიდატობა არა ერთი პარტიის, არამედ ერთიანი პოლიტიკური კლასის მიერ მიიღწევა“ — ეს განცხადება გასულ კვირას საქართველოში ვიზიტით მყოფმა ევროპარლამენტარმა ვიოლა ფონ კრამონმა გააკეთა. ამის მიუხედავად, ოპოზიციამ 25 ივლისიდან ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით პარალელური პროცესი დაიწყო. როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორი არჩევანი გააკეთეს პარტიებმა, როცა კანდიდატის სტატუსის მიღებისკენ სხვადასხვა სავალი გზა აირჩიეს. თქვენ როგორც დიპლომატი, მიიჩნევთ, რომ ამ გზით საქართველოს სტრატეგიული მიზნის მიღწევა შესაძლებელია ?

— ერთიანობა საუკეთესო გზაა წინსვლისთვის. როგორც არაერთხელ ვთქვით, მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს ლიდერებმა გვერდზე გადადონ უთანხმოებადა გაერთიანდნენ საქართველოს ხალხის ევროატლანტიკური მომავლის სახელით. იმედი მაქვს, რომ გამჭვირვალე, ინკლუზიური პროცესების მეშვეობით, სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციების ჩართულობით, მმართველი პარტია და ოპოზიციური პარტიები შეიმუშავებენ კონკრეტულ, პრაქტიკულ წინადადებებს, რომლებიც შეესაბამება ევროკავშირის რეკომენდაციებს. საბოლოო ჯამში, საქართველოს პოლიტიკურ ლიდერებზე იქნება დამოკიდებული, რომ შეთანხმდნენ იმ საკითხებზე, რაც საუკეთესო იქნება ამ მიზნის მისაღწევად. რეალური წარმატება, რომელიც გამოხატავს ერთგულებას ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მისაღებად წარმართული პროცესისადმი, მოიცავს დისკუსიებსა და კომპრომისებს ყველა დაინტერესებული მხარის მხრიდან. დემოკრატია არის კომპრომისი და კონსენსუსის მიღწევა, რათა ყველამ შეძლოს საბოლოო შედეგის მხარდაჭერა. კომპრომისი არ არის სისუსტის ნიშანი, პირიქით, დემოკრატიები, რომლებმაც შეძლეს ერთად მუშაობა, ყველაზე ძლიერი აღმოჩნდნენ.

იხ. 5 გვ.

კიდევ უფრო შემაშფოთებელია, როცა ამ განცხადებებს ეხმიანებიან მმართველი პარტიის წევრები, ისინი ცუდ სამსახურს უწევენ ქართველ ხალხს

როგორ ხსნის პრიტიკას და რას ფიქრობს საკითხზე, რომელიც რამდენიმე თვეა აქტუალობას არ კარგავს: „ცდილობს თუ არა დასავლეთი საქართველოს ომში ჩათრევას?! — ამ და სხვა აქტუალურ კითხვებზე აშშ-ის ელჩმა „ინტერპრესნიუსს“ ექსკლუზიურად უპასუხა:

— პირველ რიგში, მინდა მადლობა გადაგიხადოთ დაინტერესებისა და თქვენ მიერ გამოყოფილი დროისთვის. საქართველოსთვის ამ ძალიან მნიშვნელოვან და ფაქტობრივად, მომავლის განმსაზღვრელ მომენტში თქვენ უკიდურესი მნიშვნელობის სამუშაოს ასრულებდით აქამდეც და განაგრძობთ მის შესრულებას. საქართველოში დაძაბული პოლიტიკური ვითარების განმუხტვისა და დეპოლარიზაციის პროცესში უკვე რამდენიმე წელია აქტიურად მონაწილეობთ, თუმცა ქვეყნისთვის ისტორიულ მომენტში, როდესაც საქართველოს კანდიდატის სტატუსი უნდა მიეღო, უმთავრესი ბარიერი კვლავ პოლარიზებული გარემო აღმოჩნდა. სანამ ვითარებას კონკრეტულად ჩავუღრმავდებით, ზოგადად მინდა გკითხოთ, თქვენი აზრით, რასთან გვაქვს საქმე და რატომ ვერ შეძლო ქვეყანამ ამ დაპირისპირების გადალახვა? გიჩნდებათ შთაბეჭდილება, რომ, ერთი მხრივ, მმართველი პარტიისა და მეორე მხრივ, ოპოზიციის ნაწილის ინტერესებში შედის არა გადაკვეთის წერტილების პოვნა, არამედ პოლარიზაციის კიდევ უფრო გაღრმავების მიზეზების ძიება?

— ჩვენი დიპლომატიური ურთიერთობების 30 წლის აღსანიშნავად საქართველოს ყველა რეგიონში ვმოგზაურობ, რათა უშუალოდ შევხვდე ხალხს. რაც მესმის ადამიანებისგან, ვისაც ვხვდები, არის ის, რომ ისინი ძალიან დაიღალნენ და იმედგაცრუებულები არიან იმ პოლარიზაციის გამო, რაზეც თქვენ საუბრობთ. საქართველოს მოქალაქეების დიდმა უმრავლესობამ აირჩია ევროპული მომავალი, უფრო დემოკრატიული, უფრო აყვავებული, უფრო უსაფრთხო მომავალი. ამ მომავალს აფერხებენ პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც უფრო მეტ დროს ხარჯავენ ერთმანეთზე თავდასხმაზე, ვიდრე საქართველოს მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე მუშაობაზე, როგორიცაა, მაგალითად, უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, გაზრდილიფასები და განათლება. საქართველოს პოლიტიკურმა ლიდერებმა საქართველოს გზა ევროკავშირისკენ და ქვეყნის საუკეთესო ინტერესები მათ პარტიულ უთანხმოებაზე წინ უნდა დააყენონ.

ისე როგორც ამ 30 წლის განმავლობაში, დღესაც, შეერთებული შტატები როგორც, საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი, მზადაა დაეხმაროს ამ ქვეყანას, დაიკავშირებ, რომ ეს ბიძინა ივანიშვილმა 2011 წელს საკუთარი სიცოცხლეც კი დადო სასწორზე, როდესაც უმძიმეს დანაშაულებრივ სისტემას დაუპირისპირდა და ახლა ფინანსური თემით მისი დაშანტაჟება იმთავითვე წარრუმატებლობისთვის არის განწირული..

ზაზა შათირიშვილი

ხედავს, თუ რას ნიშნავს, როდესაც კერპთაყვანისმცემლობით კი არ იმართება ქვეყანა, არამედ იმართება ისე, როგორი კონცეფციაც დამკვიდრა „ქართულმა ოცნებამ!

არჩილ თალაკვაძე.

* * *

პირველ რიგში, ვიტყვი, რომ სერიოზული კითხვები გააჩინა ამ წერილმა, თუმცა სიღრმეში არ გვინდა შესვლა. ჩვენ არაერთხელ გვითქვამს და დღესაც გავიმეორებთ, რომ კულისებში ხდება იმაზე მეტი, ვიდრე ეს საჯაროდ ხდება ხოლმე ცნობილი.

არის გარკვეული საკითხები, რაზეც ჩვენ საჯაროდ ვერ ვსაუბრობთ იმის გამო, რომ რაღაცებს უნდა გავუფრთხილდეთ. ამ შემთხვევაში, ბევრი რამ არის ნათქვამი ამ წერილით, ბევრი რამ იკითხება ამ წერილიდან. მათ შორის ქვეტექსტებიც ძალიან მკაფიოა. ჩვენ გაგვიჭირდება სიღრმეში შესვლა, ზედმეტად კომენტირება. საზოგადოება თავად წაიკითხავს და გამოიტანს დასკვნებს ამ წერილიდან. თავისთავად ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაციის და გზავნილე-

ბიძინა ივანიშვილმა დიდი ხანია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის თანამდებობა დატოვა. ის პოლიტიკაში აღარ არის, ასე რომ ამ შეხვედრასთან დაკავშირებით მე ინფორმაცია არ მაქვს. თუმცა წერილმა ძალიან ბევრი კითხვა გააჩინა და დარწმუნებული ვარ პასუხები გაეცემა.

დღეს, ისე როგორც არასდროს, ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს მშვიდობა, სიმშვიდე და ეკონომიკური განვითარება სჭირდება. ეს ხომ ციდან მოტანილი თემა არ არის — თქვენ ხომ არაერთი განცხადება მოისმინეთ, თუ როგორ მოგვიწოდებდნენ პირდაპირ ომში ჩართვასთან დაკავშირებით. ეს იყო არასამთავრობო ორგანიზაციები, კონკრეტული პოლიტიკური პარტიები, ჩვენი მეგობარი ქვეყნის უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი. პირდაპირ იყო საუბარი ომში შეხიდებასთან დაკავშირებით. ჩვენ ძალიან განვიცდით იმას, რაც უკრაინაში ხდება, ყველანაირად თანავუგრძნობთ, ჩვენი მხრიდან ყველა საერთაშორისო არენაზე ყველანაირად მხარდაჭერა აქვს, მაგრამ პირველ რიგში, ჩვენი ხალხის, ჩვენი ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე გამოვდივართ და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ქვეყანაში მშვიდობა და სიმშვიდე შევინარჩუნოთ“.

კახა კალაძე.

* * *

„ბიძინა ივანიშვილის დღევანდელმა წერილმა სრულად ახადა ყველაფერს ფარდა და დაადასტურა ის, რასაც მთელი ამ დროის განმავლობაში ვამტკიცებდი. თვეების მანძილზე, ხელისუფლებას უწევდა ამერიკელების უმძიმეს ზეწოლასთან დაპირისპირება იმისათვის, რომ ქვეყნისთვის ომი აეცილებინა თავიდან.

როდესაც დაინახეს, რომ ხელისუფლებასთან მიზანს ვერ აღწევდნენ, უკრაინაში ომის დაწყებიდან ორიოდე კვირის თავზე, უკვე ბიძინა ივანიშვილს მოსთხოვეს შეხვედრა, მანამდე კი, მასზე წნეხის მაქსიმალურად დასამძიმებლად, შვეიცარიიდან საბანკო გადარიცხვები გაუჩერეს“.

„საელჩოს მიერ რადიკალური ოპოზიციის, ენჯეოებისა და „ნაცმოძრაობის“ კუთვნილი მედიის სრული კოორდინაცია რადიკალური დღის წესრიგის გარშემო, მათი მეშვეობით ომისკენ მიმართული რიტორიკის ტირაჟირება, რუსეთისთვის სანქციების დაწესებაზე პირდაპირი და ირიბი ზეწოლა, თვითმფრინავებით მოხალისეების გაგზავნის მოთხოვნა, კანდიდატის სტატუსის არმინიჭება და ამის საფუძველზე მთავრობის გადადგომის საკითხის დაყენება, ყველა ეს ნაბიჯი, საბოლოოდ, ერთადერთ რამეს — საქართველოს ომში



ჩართვას ემსახურებოდა. მიზანს რომ ვერ მიაღწიეს, ხელისუფლების პრინციპულობის გარდა, როგორც ბიძინა ივანიშვილმაც აღნიშნა, ეს ხალხის სიბრძნის დამსახურებაცაა. ქართველმა ხალხმა 90-იანი წლებიდან იმდენი უბედურება გამოიარა, რომ ისეთი სატყუარებით, როგორიც, მაგალითად, ევროკავშირის წევრობის კანდიდატობაა, მას ვეღარ მოატყუებ. ქართველი ხალხი უკვე ინსტინქტით გრძნობს საფრთხეს და ყველა ხაფანგზე სწორად რეაგირებს.

ბიძინა ივანიშვილის წერილით ისიც კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ეს კაცი შანტაჟის ძალით და ფულის გამო ქვეყანას არასოდეს გაწირავს. ბიძინა ივანიშვილმა 2011 წელს საკუთარი სიცოცხლეც კი დადო სასწორზე, როდესაც უმძიმეს დანაშაულებრივ სისტემას დაუპირისპირდა და ახლა ფინანსური თემით მისი დაშანტაჟება იმთავითვე წარრუმატებლობისთვის არის განწირული..

ზაზა შათირიშვილი

ადვილი მისახვედრია, თუ რომელ წერილებს ვგულისხმობ, მაგრამ მაინც დავაზუსტებ: ეს არის „ქართული ოცნებიდან“ გასული სამი დეპუტატის (სოზარ სუბარის, დიმიტრი ხუნდაძის და მიხეილ ყაველაშვილის) მიერ ამერიკის ელჩისთვის, ქ-ნი კელი დეგნანისთვის 8 და 25 ივლისს გაგზავნილი ორი ღია წერილი.

საქართველოს უთუოდ შეძრავს, მაგრამ კატასტროფამდე – ხელისუფლების დამხობამდე ან სამოქალაქო ომამდე რომ არ მივიდეთ, სასწრაფო ზომებია მისაღები.

იაკობ ლეჟავა,
26 ივლისი, 2022
(ტ. 593550400)

სენსაციური მხილება

ორი ღია წერილი, რომლებიც მთელ მსოფლიოს თუ არა, საქართველოს ნამდვილად შეძრავს!..

ფხიზლად და ჭკუით, ხელისუფლებავ!

ეჭვი არ მეპარება, რომ ამერიკის მთავრობა არაფრით არ შეეგუება ურჩობას და სიტყვის შებრუნებას არავის მხრიდან და, მით უფრო მაშინ, როცა სამი დეპუტატის ღია წერილებში დასმული კითხვების გზით ნიღაბი ჩამოეხსნა ამერიკის ე.წ. „პარტნიორულ“ პოლიტიკას როგორც ჩვენთან, ისე – სხვაგანაც, ცხადია!

ამერიკის მსოფლიო ბატონობისკენ მიმართული სამხედრო და ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ კარგა ხანია ცნობილია. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ამერიკის ფარგლებს გარეთ განლაგებული მისი 800-ზე(!) მეტი სამხედრო ბაზა, მთელი მსოფლიოსთვის თავსმოხვეული ამერიკული დოლარი (საკუთარი საბეჭდი მანქანით!) და ამერიკის ნებას დაქვემდებარებული, ვითომდაც, სახელმწიფოების დასახმარებლად შექმნილი საერთაშორისო ბანკებიც, რომელთა კაბალური კლანჭებიდან თითქმის ვერავინ ვერ ახერხებს დასხლტომას, მაგრამ, ერთია იცოდე, ხვდებოდე, თუნდაც, ხედავდე შენს შინაურ საქმეებში ამერიკის (პირველ რიგში!) უხეშ ჩარევას და, მეორეა, ამის დამადასტურებელი უტყუარი ფაქტები გაგაჩნდეს ხელთ და, რაც მთავარია, გაბედო მისი გამომზეურება!

ხომ ვნახეთ ყველამ, რომ დეპუტატების მიერ ამერიკის ელჩისთვის კითხვების დასმაც კი ნაცპარტიებმა, ნაცტელევიზიებმა და ამერიკის დაფინანსებულმა მეხუთე კოლონამ, ანუ ე.წ. არასამთავრობებმა, უცებ მონათლეს არა მხოლოდ ელჩზე, არამედ – ამერიკაზე თავდასხმად!

ამერიკის მხრიდან სახელმწიფოების შინაურ საქმეებში უხეში ჩარევის რამდენიმე მაგალითს მოვიყვან ჩვენი და უკრაინის უახლესი ისტორიიდან. შესაძლოა, ბევრმა არც კი იცოდეს მათ შესახებ. აქ მნიშვნელოვანია ის, რომ ჩვენი შემთხვევები უკრაინის აბსოლუტურად იდენტური მაგალითებით და, რაც მთავარია, დოკუმენტურად დასტურდება:

2012 **წლის** არჩევნებში სააკაშვილის „ნაცმოძრაობის“ დამარცხების შემდეგ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას აშშ-დან, სავარაუდოდ, ელჩის მიერ, გადმოეცა 20 კაცის სია, რომლებზედაც (უკლებლივ ყველაზე) უნდა გავრცელებულიყო ხელშეუხებლობის გარანტია. ინფორმაციამ სახელისუფლებო კულუარებიდან გამოჟონა, მაგრამ ბევრმა გულუბრყვილომ მაინც არ დაიჯერა, – აქაოდა, ამერიკა დაგვეხმარა გამარჯვებაში, მან გადააფიქრებინა სააკაშვილს ძალის გამოყენება და ახლა ხელს რატომ დააფარებს დამნაშავეებსო.

ეს მოთხოვნა, ფაქტობრივად, დადასტურდა კიდეც, როცა „ქართულმა ოცნებამ“ მართლაც არ ახლო ხელი ბევრ დამნაშავე ნაცს და, სააკაშვილის მსგავსად, ბევრმა დაუბრკოლებლად დატოვა საქართველო. დარჩენილებმა, პირველ რიგში, ნაცრეჟიმთან მჭიდროდ მოთანამშრომლე პროკურორ-მოსამართლეებმა (!) კი, უპრობლემოდ განაგრძეს მუშაობა სახელმწიფო სტრუქტურებში, ვინაიდან ყოველივე ამის შესახებ ოფიციალური პირებიდან ხმა არავის ამოუღია, ამიტომაც ძნელი იყო ხელის ვინმესკენ გაშვერა და რაიმეს დაბრალება.

ეს მოხდა 2012-ში, ხოლო ამერიკის როლი 2019-ში დადასტურდა უკრაინის გახმაურებულ მაგალითზე, როდესაც კიევის ტელევიზიით გამოვიდა აღშფოთებული უკრაინის გენპროკურორი, **იური ლუცენკო** და განაცხადა: ამერიკის ელჩმა, **მერი იოვანოვიჩმა** ჩემგან „ხელშეუხებლობის გარანტიები“ მოითხოვა კონკრეტული პირებისთვის, იმის მიუხედავად, თუ რა დანაშაული აქვთ მათ ჩადენილი და რომელი პარტია გაიმარჯვებს არჩევნებშიო!

შეკითხვა გულუბრყვილო ამერიკანოფილებს: თუკი 44-მილიონიან უკრაინას ამდენს უბედავს ამერიკა, ჩვენ მოგვერიდებოდა?!

მეორე მაგალითი, – 2015 წლის აპრილის მიწურულს, პრემიერმა **ირაკლი ღარიბაშვილმა** ორი მინისტრის შეცვლა დააანონსა, ხოლო 1 მაისს მესამეც შეცვალა და, ყველასთვის მოულოდნელად, თავდაცვის მინისტრად ქ-ნი **თინა ხიდაშელი** დანიშნა. თითქოს, არაფერი განსაკუთრებული არ მომხდარა, რომ არა ორი მნიშვნელოვანი დეტალი: წინა დღით ბ-ნ **ბიძინა ივანიშვილს** სტუმრად სწვევია ამერიკის ელჩი **რიჩარდ ნორლანდი** და, კიდევ ის, რომ ამ დანიშვნამდე ღარიბაშვილს ისე ყოლია ნაგინები ხიდაშელის ქალი კახურად, რომ აუდიოჩანაწერის მომსმენი ბ-ნი ბიძინა ფრიად გაკვირვებულა, ოღონდ ზუსტად არ ვიცი, – თავად პრემიერისგან, თუ კახური „მრავალსართულიანისგან“!

სარწმუნო სამხილის არქონის გამო, ამ შემთხვევაშიც ძნელია ელჩს დაბრალო კადრების შერჩევა, მაგრამ ერთი რამ უტყუარია – ისეთ ადამიანს, რომელსაც არავითარი შეხება არ ჰქონია არასოდეს თავდაცვასთან, ივანიშვილი არ ურჩევდა პრემიერს, მით უფრო, – შეუთანხმებლად და სიურპრიზად. და, არც ღარიბაშვილი თავისი ინიციატივით არ დანიშნავდა მის მიერ ნაგინებ და ავტორიტეტშელახულ ქალს თავდაცვის მინისტრად!

ამ მოვლენის ახსნაშიც კიევის მაგალითი გვეხმარება, როდესაც 2014 წლის თებერვალში (მაიდნის დასრულებამდე!) სახელმწიფო მდივნის თანაშემწე, ქ-ნი **ვიქტორია ნულანდი** ამერიკის ელჩთან, **ჯეფრი პაიეტთან** ერთად უკრაინის მთავრობას აყალიბებდა. ამ სატელეფონო საუბრის აუდიოჩანაწერი ფართოდ გავრცელდა და მისი ავთენტურობა არცერთ მოსაუბრეს არ უარუყვია. საუბრიდან ნათლად ჩანს, რომ ყველაფერს ამერიკა წყვეტს „თავის ხოშზე“ და ევროკავშირს ძაღლადაც არ აგდებს. აი, ამის დასტური: როდესაც სახელმწიფო მდივნის თანაშემწე კიევის მერად **ვიტალი კლიჩკოს** ასახელებს და, ელჩი ატყობინებს, რომ ევროკავშირი კლიჩკოს კანდიდატურის წინააღმდეგია, ქ-ნი ნულანდი მოკლედ და გასაგებად პასუხობს ეკა ხერხეულიძის სტილში: **FUCK EU!** ანუ **შე....ცი ევროკავშირსო!**

ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს ის, რომ ისევე, როგორც უკრაინაში, ჩვენთანაც ელჩები – **კელი დეგნანი** იქნება ეს თუ სხვა, თუნდაც, ევროკავშირის ელჩები, მხოლოდ სახელმწიფო დეპარტამენტის ნება-სურვილის გამტარებლები არიან და მეტი არაფერი!

მაგრამ, მიხვედრა ერთია და, როცა იგი ოფიციალური განცხადებითაც დასტურდება სახელმწიფო დეპარტამენტის პრესმდივნის, **ნედ პრაისის** მიერ, – ეს სულ სხვაა! ცენტრალურ საგაზეთო სააგენტოში ნამუშევარი ეს ახალგაზრდა კაცი კატეგორიული ტონით საუბრობს „ზოგიერთი ქართველი ოფიციალური პირის რიტორიკაზე“, გავრცელებულ „დეზინფორმაციაზე და პერსონალურ თავდასხმებზე ელჩ დეგნანზე“ – ჩანს, რომ სახელმწიფო დეპარტამენტი ყველაფრის საქმის კურსშია; ქართული მედიის წარმომადგენლის შეკითხვაზე – მოსამართლე **ლაშა ჩხიკვაძესთან** დაკავშირებით კი, აშკარად თვალთმაქცობს: „არ ვარ ამ კონკრეტულ საკითხში გარკვეული“-ო! და, როცა დასკვნის სახით ამბობს: **„ელჩს აქვს ჩვენი (ანუ სახელმწიფო დეპატამენტის!) სრული მხარდაჭერა“,** ყველაფერი თავის ადგილზე დგება, უკვე თავად სახელმწიფო დეპარტამენტის უცერემონიო აღიარებით!

ამერიკას დიდად არ ანაღვლებს არც ჩვენი და არც არავის, არცერთი სახელმწიფოს ან ხალხის მიხვედრილობა, ის მაინც რქებით აწვება ყველას და ყველაფერს და ძალით გააქვს კიდეც თავისი – არც ომის წამოსაწყებად და არც სამხედრო ბაზის მოსაწყობად უცხო მიწაზე მას არ სჭირდება არავის, მათ შორის, არც გაეროს ნებართვა. მას იმდენად აქვს თავში ავარდნილი საკუთარი სიმდიდრე და სიძლიერე, რომ უკან არაფერზე არ იხევს. არადა, სულ პატარა სატყუარა სვლა რომ გაეკეთებინა, სულ მცირედით უკან რომ დაეხია და ეთქვა (პრაისის პირით): ელჩმა, სამწუხაროდ, გადაამეტა თავის უფლებამოსილებასო და, ამის შემდეგ ქ-ნი დეგნანიც ვადის ამოწურვამდე გაეწვია საქართველოდან, ჩვენ და მსოფლიოსაც იგი უეჭველად „დაგვაბამდა“ – და, ატყდებოდა ერთი ალიაქოთი ნაცების მხრიდან: აი, ხომ ხედავთ როგორი სამართლიანია ამერიკა, თქვენ რომ უსაფუძვლოდ აკრიტიკებთო. მაგრამ, მან ეს არ ჩათვალა საჭიროდ უმარტივესი მიზეზით: ამერიკა და მისი ელჩი ყველგან და ყოველთვის მართალია! გაბედე და შეუბრუნე ენა!

ასეა თუ ისე, ბევრის გასახარად ამერიკას ენა შეუბრუნეს და პასუხს ველით.

როდესაც საქმე ასეთ სიტყვიერ დაპირისპირებამდე მივა შეერთებულ შტატებთან, მერე უკან დახევა ჩვენი მიწასთან გასწორების ტოლფასი იქნება. ამიტომ, უნდა ვეცადოთ არ წამოვეგოთ რაიმე პროვოკაციაზე და მაქსიმალურად დავიცვათ კორექტულობა (ისევე, როგორც უკვე გაგზავნილ ღია წერილებში) და არ მივცეთ საბაბი.

ამასთან ერთად, უნდა ვემზადოთ თავის დასაცავად. დიდი ალბათობით, ეს არ იქნება ამერიკის მხრიდან უშუალო შემოტევა, არამედ, როგორც მას სჩვევია, იგი მთავრობასთან დაპირისპირებულ შიდა ძალებს (არამარტო ზემოთ ნახსენებ ნაცპარტიებს, მათ ტელევიზიებს და არასამთავრობო ორგანიზაციებს, არამედ, – ძალოვან სტრუქტურებში თანამდებობებზე დატოვებულ ნაცების მხარდამჭერებსაც) გამოიყენებს საპროტესტო ტალღის ასაგორებლად და ხელისუფლების დასამხობად ან, მინიმუმ, გადასაყენებლად, შემდგომი ანგარიშსწორებით მასთან და მის მხარდამჭერებთან. ამაში ეჭვი არავის არ უნდა შეეპაროს!

არ შეიძლება იმის იმედად ყოფნა, რომ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მტკიცედ დგას მის მიერ არჩეული ხელისუფლების მხარეს და, ამიტომ, თითქოსდა, უმცირესობა ვერ გაბედავს ძალადობას, რომ მას ხალხი გადაუვლისო! არ არის ასე, სამწუხაროდ! შეიარაღებულ გადატრიალებას სრულებითაც არ სჭირდება მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერა, კარგად ორგანიზებული და შეიარაღებული უმცირესობაც ახერხებს გადატრიალებებს, მით უმეტეს, როდესაც გარედან აძვს მხარდაჭერა და დაფინანსებაც! ამის უამრავი მაგალითი არსებობს.

აუცილებელია კადრების გადამოწმება-გადახალისება ყველა ძალოვან სტრუქტურაში (უპირველესად – უშიშროების სამსახურში), ვისაც კი იარაღი შეიძლება გააჩნდეს. საკადრო წმენდის გარეშე სიმშვიდე არ დაისადგურებს, ვინაიდან ყოველთვის დარჩება პროვოკაციების ან საბოტაჟის რისკი. არა მგონია, **სოსო გოგაშვილი** ერთადერთი კაცი იყოს უშიშროებაში, თავდაცვაში ან შინაგან ჯარში მაღალ თანამდებობაზე გაპარული. პირიქით კი, ძალზე ადვილი შესაძლებელია თავის დროზე დათხოვნის ნაცვლად ადგილებზე დატოვებული და ახლა ხელსაყრელი მომენტის მომლოდინე, ისევ მამალი ნაცები იყვნენ „ჩასაფრებულნი“! მათი პირადი საქმეების და წარსული საქმიანობის შესწავლით აუცილებელია არასანდო პირების გამოვლენა და, მოსალოდნელი სამოქალაქო სისხლიანი დაპირისპირების თავიდან აცილება.

ეს სამუშაო უნდა შესრულდეს ოპერატიულად და, მის პარალელურად უნდა მოხდეს სანდო, ნაცებთან გამიჯნული სამხედრო კადრების მოზიდვა (ასეთები ბევრია, სააკაშვილის მიერ ვადაზე ადრე დათხოვნილთა რიგებში), ასაკოვანი და გამოცდილი ხალხის კი კონსულტანტებად დასაქმება და ა.შ.

თუ გვსურს სტაბილურობა ქვეყანაში და მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი საგარეო და საშინაო პოლიტიკის გატარებაც, უნდა ვემზადოთ ბრძოლისთვის – არა რომელიმე მეზობელ სახელმწიფოსთან ომისთვის, არამედ შინაურ, ფულზე გაყიდულ არნახულად მომრავლებულ ორგანიზაცია-პარტიებთან ბრძოლისთვის, რისთვისაც ოპერატიულად უნდა მივიღოთ შესაბამისი კანონები, რომლებითაც მკაცრად დაისჯებიან დეზინფორმაციის გამავრცელებელნი, სახელმწიფო გადატრიალებისკენ ან რუსეთთან ომში ჩაბმისკენ მომწოდებლები, ხელისუფლების ძირგამომთხრელ საქმიანობში ბრალდებულნი, საპატრიარქოს და ეკლესიის შეურაცხმყოფელნი. კოდექსში უნდა აღდგეს სამშობლოს ღალატის მუხლი და ა. შ.

სიფხიზლის მოდუნება დაუშვებელია, რადგანაც ეშმაკს არ სძინავს და, მით უფრო, არ სძინავს სატანის ძეგლების(!) დამდგმელ და სატანის ტაძრის(!) ამშენებელ სახელმწიფოს!

ფხიზლად და ჭკუით ხელისუფლებავ!

ვიცი ძნელია, ძალიან ძნელი, მოზღვავებულ გარე „პარტნიორების“ თუ შიდა მანქურთების ძალასთან გამკლავება, მაგრამ **პირველ ნაბიჯს (სიტყვას) მეორე ნაბიჯი (საქმე) თუ არ მოჰყვა, საკუთარ თავსაც დაიღუპავ და ერსაც გასწირავ მრავალწლიანი მონობისთვის და გადაშენებისთვის!**

საზოგადოებისთვის მარტო სიმართლის თქმა საკმარისი არ არის! უკანდახევა, მიუღებელ პუნქტებზე დათანხმება და ქართველი ერის ღირსების შემლახავი ქმედებების და სიტყვების ძველებურად თმენა და ყლაპვა, მართლმადიდებელი ჩვენი ქვეყნისთვის სიკვდილის ტოლფასია! ახლა, როცა წელში გამართვა იწყე და, სანამ საქართველოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ჯერ კიდევ მხარს გიჭერს, არ უნდა გატყდე, ისევ აღარ უნდა დაიჩოქო, ქართველი ხალხის მიერ ზურგგამაგრებულმა, ამაყად თავაწეულმა უნდა გააგრძელო წინსვლა ფრთხილი, დიპლომატიური და იურიდიულად გამართული ნაბიჯებით! რას იზამ, არ გაგიმართლა, მძიმე პერიოდში მოგიწია ქვეყნის მართვა, თუმცა როდის იყო, რომ გვილხინდა?!

სხვა არაფერი დაგვრჩენია, ცოტაც და ისეთ ხრამში გადაგვჩეხენ, საიდანაც ვეღარ ამოვალთ!

და, თუკი, თავს გადადებ და ზეწოლას გაუძლებ, თუკი, ხალხს დაანახვებ, რომ მასზედაც ფიქრობ ცოტაოდენს და მისი კეთილდღეობისთვის სასურველ პოლიტიკურ კურსს აირჩევ, ხალხი ყველაფერს გაპატიებს, ყველა წყენას დაგივიწყებს და გმირად, ლეგენდად გაქცევს, ცაში აგიყვანს სიყვარულით, თუ არადა, – სამუდამოდ შეგაჩვენებს შთამომავლობა!

გამოეხმაურეთ ამერიკაში კარგა ხანს ნამუშაკევი (ოკეანედალეული) ექიმის იაკობ ლეჟავას ამ წერილს, მკითხველო!



კელი დეგნანი:

დასავლეთს არასოდეს უცდია „საქართველოს ომში ჩათრევა“!

ეყვნენ და საკმაოდ მძიმე ბრალდებებით გამოირჩევიან პირადად თქვენი და ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ. ფიქრობთ, რომ ამ ჯგუფის არაკონსტრუქციული განცხადებების უკან თავად მმართველი პარტია არის ამოფარებული ? მახსოვს ყაველაშვილის წერილის საპასუხოდ თავად თქვენ აღნიშნეთ, რომ ამ დეპუტატების ნარატივი საეჭვოდ ემთხვევა „ქართული ოცნების“ ნარატივს. აქვე გკითხავთ, რა მოტივი შეიძლება იდგეს ანტიამერიკული და ანტიდასავლური განცხადებების უკან?

— ჩვენც გვაქვს კითხვები საქართველოს უმთავრესი პრიორიტეტიდან — ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოპოვებიდან ყურადღების გადატანის მოტივებზე და დაჟინებით იმის გამეორებაზე, რაც უკვე არაერთგზის ითქვა, რომ დეზინფორმაციაა. ჩვენ არაერთხელ ვუპასუხეთ კითხვებს საქართველოში ჩვენი მრავალწლიანი მუშაობის შესახებ. რადგან, როგორც ჩანს, ზოგს ჯერ კიდევ ვერ გაუგია, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ჩვენ არ ვიყენებთ ჩვენს პროგრამებს ადამიანების სანქცირებისა თუ დასჯისთვის და არც მოსამართლე ჩხიკვაძისთვის დაგვიკისრებია სანქცია. ჩვენ არ ვერევით საქართველოში სასამართლო გადაწყვეტილებებში და არ გვაქვს ფარული შეხვედრები და ასე იყო ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც. პირიქით, ჩვენ რეგულარულად ვმუშაობთ მოსამართლეებთან, პროკურორებთან და ადვოკატებთან საქართველოში, ხელს ვუწყობთ მათი სამართლებრივი უნარების განვითარებას კანონის გამჭვირვალედ, მიუკერძოებლად ადმინისტრირებისთვის, რაც შესაბამისობაშია საერთაშორისო პრაქტიკასთან.

საელჩო ორიენტირებულია გააგრძელოს მტკიცე თანამშრომლობა, რამაც განსაზღვრა აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობა ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში. ეს იყო წარმატებული და პროდუქტიული პარტნიორობა, რომლითაც ჩვენ ვამაყობთ და რითიც ათასობით საქართველოს მოქალაქემ ისარგებლა.

— კიდევ ერთი განცხადება, რომელიც უკვე რამდენიმე კვირაა არ კარგავს აქტუალურობას და კვლავ გაიჟღერა ყაველაშვილი-ხუნდაძე — სუბარის 25 ივლისს გამოქვეყნებულ განცხადებაში, არის „საქართველოს ომში ჩათრევის“ საკითხი. „თქვენ არათუ არ ემიჯნებით ომისკენ მიმართულ რიტორიკას, არამედ მხარს უჭერთ და თავად აღვივებთ მას“,— ნათქვამია თქვენი მისამართით გაკეთებულ განცხადებაში. როგორ ხსნით იმ ფაქტორს, რომ მრავალჯერ გაკეთებული განმარტების მიუხედავად, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ასევე ევროპელი პარტნიორების მხრიდან, რომ არავისი მიზანი არ არის საქართველოს ომში ჩართვა, ეს საკითხი კვლავ და კვლავ უბრუნდება პოლიტიკურ დღის წესრიგს?

— კიდევ ერთხელ, ჩვენ უნდა დავსვათ კითხვა, რა არის ნებისმიერი ადამიანის მოტივი, რომელიც დაჟინებით იმეორებს ყალბ ინფორმაციას რომელიც, როგორც ჩანს, მიზნად ისახავს აშშ-ს ძალისხმევის არასწორად წარმოჩინებას. შეერთებული შტატების ძალისხმევა უკრაინის წინააღმდეგ კრემლის სასტიკი და არაპროვოცირებული ომის განმავლობაში მშვიდობის აღდგენაზე იყო ორიენტირებული. ჩვენ ვმუშაობთ, რომ უკრაინაში ომი დასრულდეს რაც შეიძლება სწრაფად და ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ ეს ტრაგიკული კონფლიქტი არ გავრცელდეს საქართველოზე და რომელიმე სხვა ქვეყანაზე. თებერვალში ხელახალ შეჭრამდე რამდენიმე თვით ადრე, აშშ-ს დიპლომატიური ძალისხმევა იყო კარგად მობილიზებული, ხდებოდა მუდმივი გაფრთხილება ძალის არაპროვოცირებული გამოყენების წინააღმდეგ, იყო მუდმივი კომუნიკაცია როგორც პუტინთან, ასევე რუს ხალხთან, რომ საკითხის დიპლომატიური გადაწყვეტა არის საუკეთესო გამოსავალი. რუსეთმა უგულებელყო ეს გაფრთხილებები და ახლა კიდევ უფრო იზოლირებულია მთელი მსოფლიოსგან.

დასავლეთს არასოდეს უცდია „საქართველოს ომში ჩათრევა“. ჩვენ არანაირი ინტერესი არ გვაქვს საქართველოს ომში ჩართვის. როგორც საქართველოს ლიდერებს თავიდანვე ვუთხარით, ჩვენ გვესმის საქართველოს მგრძნობიარე პოზიცია, გამომდინარე რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციისა და რუსეთის აგრესიის მიმართ საქართველოს საკუთარი გამოცდილების გათვალისწინებით. ისინი, ვინც ამ ნარატივს იმეორებენ, რუსეთის საქმეს აკეთებენ და ამით ცდილობენ საქართველოს დაყოფას მისი დემოკრატიული განვითარების კრიტიკულ მომენტში. ისინი, ვინც ვარაუდობენ, რომ საქართველო მიიღებდა კანდიდატის სტატუსს, თუ საქართველო ომში იქნებოდა, ან ვინც ავრცელებს ნარატივს „მეორე ფრონტის“ შესახებ, ავრცელებენ დეზინფორმაციას, რომელიც მიზნად ისახავს შიშისა და დაბნეულობის შექმნას. კიდევ უფრო შემაშფოთებელია, როდესაც ამ განცხადებებს ეხმიანებიან მმართველი პარტიის წევრები. ისინი ცუდ სამსახურს უწევენ საქართველოს ხალხს და ყურადღება გადააქვთ იმ მნიშვნელოვანი საქმისგან, რომელიც უნდა გაკეთდეს ხალხის გაერთიანებისა და საქართველოს წინსვლისთვის.

დასავლეთი თანამშრომლობს საქართველოსთან, რომ შეწყდეს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია მშვიდობიანად და მხარი დაუჭიროს რუსეთის აგრესიის შედეგად დევნილ უამრავ ადამიანს. ჩვენი პოზიცია ნათელია — ეს განაცხადეს პრეზიდენტმა ბაიდენმა, მდივანმა ბლინკენმა, სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა, ჩვენმა მრავალრიცხოვანმა სტუმარმა და მე. ეჭვგარეშეა, რომ როგორც საქართველოს პარტნიორს, ჩვენ გვინდა მშვიდობა — აქ, უკრაინაში და მთელს ევროპაში. ჩვენ ვაგრძელებთ მუშაობას მთლიანი, თავისუფალი და მშვიდობიანი ევროპისთვის, რომლის ნაწილი საქართველოცაა.

სალომე აბულაშვილი,
ინტერპრესნიუსი

(მესამე გვერდიდან)

— მოწოდებების მიუხედავად, ერთიანი ძალებით იმუშაონ ევროკავშირის რეკომენდაციებზე, იმ პარტიის წარმომადგენელი, რომელიც ყველაზე მეტად ეწინააღმდეგება ერთიან სამუშაო პროცესს, ამას შემდეგნაირად ხსნის: „კომისიები, რომელსაც წინაპირობები აქვს, რომ დეოლიგარქიზაცია არ ეხება ბიძინა ივანიშვილს, დეპოლარიზაცია ოპოზიციის გაჩუმებაა, საკონსტიტუციო ცვლილებებზე, თურმე არ ვრცელდება 12 პუნქტი, პირდაპირ გვითხრეს, რომ „კლანი“ სასამართლოში არ არის და ჩვენ კანონს, რომელსაც დავწერთ, არ შეეხება „კლანსო“. გეკითხებით, როგორ უნდა შევიდეთ პროცესში, სადაც წინაპირობებს მიყენებენ და ვიცი, რომ ოთხ ფუნდამენტურ საკითხში აპრიორი არ იქნება შესრულებული, ევროკავშირის მოთხოვნა?“ — ასეთია „სტრატეგია აღმაშენებლის“ ერთ-ერთი ლიდერის გიორგი ვაშაძის პოზიცია. თქვენ როგორც მიმდინარე პროცესებში კარგად გათვითცნობიერებულ ადამიანს, გაქვთ ამ განცხადების საპირწონე არგუმენტი, რომლითაც დაარწმუნებთ ოპოზიციას, რომ ხელისუფლებასთან ძალისხმევის გაერთიანება და მისთვის ნდობის გამოცხადება ღირს?

— არაერთხელ გვითქვამს, რომ კომპრომისისკენ ერთობლივი მუშაობა საუკეთესო გზაა ნებისმიერი დემოკრატიისთვის. საქართველოს ახლა აქვს ისეთი რამ, რაც აქამდე არ ჰქონია თავის ახალგაზრდა დემოკრატიის ისტორიაში: მკაფიო გზამკვლევი ევროკავშირის კანდიდატობისკენ. ქართველებმა უნდა იამაყონ იმით, რასაც მიაღწიეს საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. მათ აქვთ შანსი კიდევ უფრო მეტად იამაყონ, ერთობლივი მუშაობით ევროკომისიის რეკომენდაციების შესასრულებლად საჭირო რეფორმების განსახორციელებლად.

— ერთ-ერთი საკითხი, სადაც ოპოზიცია და ხელისუფლება თანხვედრის წერტილს ვერ ხედავს, უკავშირდება იმას, უნდა შეეხოს თუ არა ბიძინა ივანიშვილს დეოლიგარქიზაციასთან დაკავშირებული კანონი. მინდა თქვენც გკითხოთ, არის თუ არა ბიძინა ივანიშვილი ოლიგარქი?

— რეკომენდაციები არ ასახელებს კონკრეტულ პირებს. პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაზე გარე გავლენის თავიდან აცილების საუკეთესო გზაა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის გამჭვირვალე მექანიზმების ჩამოყალიბება და სასამართლო რეფორმის გზით დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის უზრუნველყოფა, რომელიც აღასრულებს კანონს პოლიტიკური ჩარევის გარეშე.

— აქვე ჩაგეკითხებით, რამდენიმე დღის წინ მედიისთვის მიცემულ კომენტარში ბრალდებების საპასუხოდ აღნიშნეთ, რომ ივანიშვილს დიდი ხანია არ შეხვედრიხართ და როცა შეხვდით, მისი შანტაჟის მცდელობა ნამდვილად არ გქონიათ. შემიძლია გკითხოთ, რა სტატუსით შეხვდით ივანიშვილს? — შეხვდით როგორ ყოფილ პრემიერ-მინისტრს, როგორც ოლიგარქს, თუ რამე სხვა სტატუსის მატარებელს?

— როგორც წესი, ჩვენ პრესასთან არ ვსაუბრობთ პირად შეხვედრებზე, მაგრამ როგორც ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა დაადასტურა, მას ბოლოს 21 მარტს შევხვდი, რის შემდეგაც საკმაო დრო გავიდა. ჩვენი შეხვედრები ყოველთვის ეხებოდა აშშ-საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორობას და აშშ-ის ძალისხმევას საქართველოს ეკონომიკის, უსაფრთხოებისა და დემოკრატიის განვითარების მხარდაჭერად. მოდით ძალიან მკაფიოდ ვიტყვი, რომ აღარავის დარჩეს შეკითხვები — არასოდეს ყოფილა საუბარი საქართველოს ჩართვაზე უკრაინის წინააღმდეგ რუსეთის ომში, ან „შანტაჟზე“ ან მოქმედებებზე, რაც უკავშირდება ბ-ნ ივანიშვილისთვის ფულის გადარიცხვის შეფერხებას. ამ საკითხებზე მას ან იმ კონკრეტულ ბანკებს უნდა მიმართოთ.

როდესაც შეერთებული შტატები ფინანსურ სანქციებს აწესებს, ჩვენ მათ საჯაროდ ვაცხადებთ. სახაზინო დეპარტამენტის ვებ-საიტზე არის საძიებო სია, სადაც ბანკებს, მედიას და ფართო საზოგადოებას შეუძლიათ შეამოწმონ, ვინ ექვემდებარება და არ ექვემდებარება ფინანსურ სანქციებს. შვეიცარიის საბანკო ანგარიშების ნებისმიერი განხილვა, გულწრფელად, არის ყურადღების გადატანა მნიშვნელოვანი სამუშაოდან. როგორც ბ-ნმა ივანიშვილმა 27 ივლისის განცხადებაში აღნიშნა, ეს არის კერძო საქმე მასსა და ფინანსურ ინსტიტუტს შორის.

— ძალიან ბევრს საუბრობენ იმის თაობაზე, რომ დასავლეთში ბიძინა ივანიშვილის მიმართ პერსონალური სანქციების დაწესებას განიხილავენ. ამ ვარაუდს განამტკიცებს უკრაინის ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან გაჟღერებული განცხადებები, რომ რუსეთ-უკრაინის ომში რუსეთის მიმართ არსებული მხარდამჭერი პოზიციისთვის დაისჯება ბიძინა ივანიშვილი და არა მხოლოდ ის, არამედ მისი გარემოცვა. მინდა გკითხოთ, რამდენად არის პერსონალური სანქციების დაწესების თემა აქტიური განხილვის საგანი შეერთებულ შტატებში?

— შეერთებული შტატების მხრიდან სანქციებისა და ზეწოლის შესახებ ბევრი ბუნდოვანი ინსინუაცია იყო. ფინანსური სანქციები ასე არ მუშაობს. მათ, ვინც სანქცირებულია შეერთებული შტატების მიერ, ეს იციან, რადგან ინფორმაცია საჯაროდ არის განთავსებული. სახაზინო დეპარტამენტი გამოსცემს პრესრელიზებს, არსებობს საჯარო საძიებო სია, რათა ეცნობოს ბანკებს და სხვა ინსტიტუტებს სანქციების დაწესების შესახებ.

გულწრფელად რომ ვთქვათ, ცოტა დამაბნეველია, რამდენ დროსა და ენერგიას ხარჯავთ ზოგიერთები სანქციების, ან სხვის ფულთან დაკავშირებული საკითხების განხილვაზე, იმის ნაცვლად, რომ ყურადღება კონცენტრირებული იყოს მკაფიო გზამკვლევზე ევროკავშირის წევრობისკენ.

— არ შემიძლია არ გკითხოთ დეპუტატთა იმ მცირე ჯგუფზე, რომლებიც მმართველ პარტიას ბოლო პერიოდში გამო-

ედუარდ სააკაშვილი: მამაჩემის როლი ქართულ პოლიტიკაში გაუგებარია!

ვგრძნობ, რომ არის ფართო დაინტერესება საზოგადოებაში მამაჩემის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. მაგრამ ტონში ვამჩნევ, რომ ბევრი მათგანისთვის მამაჩემი არ არის რაღაცა მომავლის ლიდერი ან რაღაც მსგავსი, — თქვა ექსპრეზიდენტის მიხეილ სააკაშილის შვილმა ედუარდ სააკაშვილმა TV პირველის ეთერში.

„ერთი კვირაა, საქართველოში ვარ, ჩამოსული ვარ ოჯახის სანახავად. ცოტა ვიმოგზაურეთ ერთად მე და დედაჩემმა ზუგდიდში, ბათუმში, საქართველოს გარშემო. ხალხი გვხვდება ქუჩაში და თუ მცნობენ, მეუბნებიან — მიშა როგორ არის? ვგრძნობ, რომ არის ფართო დაინტერესება საზოგადოებაში მამაჩემის ჯანმრთელობასთან დაკავშირებით. მაგრამ ტონში ვამჩნევ, რომ ბევრი მათგანისთვის მამაჩემი არ არის რაღაცა მომავლის ლიდერი ან რაღაც მსგავსი. მასზე არ მეკითხებიან, როგორც, აი, „მიშა გამოვიდეს და გადაგვარჩენს“ და ასე შემდეგ. არის ბევრი ადამიანი, რომელიც ასე უყურებს, მაგრამ არის ძალიან ბევრი ადამიანი, შეიძლება უფრო დიდი ნაწილი, რომელიც უბრალოდ აფასებს მის როლს საქართველოს უახლეს ისტორიაში და უნდა მისთვის კარგი. ნერვიულობენ მასზე, როგორც ადამიანზე და არა, რომ ის არის მომავლის ლიდერი.



ისინი ამომრჩევლებიც კი არ არიან მიშასი ან ნაციონალური მოძრაობის, ამიტომ მე მგონია, რომ ეს სენტიმენტი საზოგადოებაში არის საკმაოდ ფართოდ გავრცელებული და თუ ჩვენ ვსაუბრობთ ამ საკითხის დეპოლიტიზებაზე, მამაჩემიც უნდა დეპოლიტიზდეს ცოტა, იმიტომ, რომ მე როგორც ვუყურებ, როგორც ვხედავ, მისი როლი ქართულ პოლიტიკაში გაუგებარია მომავლისთვის, არ ვიცი, კიდევ რა უნდა მოხდეს, რომ ის ან მთავრობაში დაბრუნდეს ან ასე შემდეგ. ეს ცოტა რთული წარმოსადგენია ჩემთვის და მე მგონი, თვითონაც ხვდება ამას. როცა შევდივარ მამაჩემთან, ის მხოლოდ უყურებს უკრაინულ ტელევიზიებს, მგონი, თვითონაც ხვდება, რომ შეიძლება, იქით უფრო ჰქონდეს მომავალი, ვიდრე აქ“...

ჩვენი ენერგია-დაუშრეტელი რედაქტორი

ვალერიან ლომიძე 80 წლისაა



ბორჯომის რაიონულ გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორი ბატონი ვალერიან ლომიძე იუბილარია – დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა. რედაქციაში მოღვაწეობის 53 წლის სტაჟი აქვს, აქედან 31 წელი რედაქტორია.

ბატონი ვალერიანის დღემდე მოტანილი ცხოვრება ღირსეულად განვლილი წლებია და ახლაც კი საოცარი ენერგიით სავსეა მომავალ სიძნელეებთან შესაბმელად.

ობლობაში გაიზარდა. მამა ომიდან დაჭრილ-დაინვალიდებული დაბრუნდა და მალე გარდაიცვალა. ოთხი შვილის რჩენა დედას უჭირდა, მაგრამ პატარებმა თითქოს ერთმანეთს და დედას შეჰფიცეს, რომ ყველანაირად დაეხმარებოდნენ მას ოჯახის ფეხზე დადგომაში და ასეც მოიქცნენ. სკოლის დამთავრების შემდეგ ბორჯომის შუშის ქარხანაში დაიწყო მუშაობა, მერე სამხედრო სავალდებულო სამსახური მოიხადა და სტუდენტი გახდა.

უმაღლესის დამთავრების შემდეგ ჯერ აღმზრდელ-მასწავლებლად მუშაობდა ბორჯომის პროფსასწავლებელში, შემდეგ- ტურისტულ ბიუროში. ტურისტებთან ერთად ლაშქრობებში ფეხით შემოიარა მთელი საქართველო, ერთხანს ვარძიის ტურბაზაში იმუშავა. მშობლიური მხარის გაცნობასთან ერთად იზრდებოდა და მტკიცდებოდა სამშობლოს სიყვარულის გრძნობა.

რაიონული გაზეთის რედაქციაში ფოტორეპორტიორად მიიღეს. სურათების გადაღებასთან ერთად კორექტორიც იყო. ხშირად უწევდა საგაზეთო წერილების წერაც. ჟურნალისტის პროფესიას, ხალხთან უშუალო ურთიერთობას ალღო აუღო და მალე მიიღო უმაღლესი ჟურნალისტური განათლება. იყო რიგითი ჟურნალისტი, რედაქციის განყოფილების გამგე, მერე პარტიის რაიკომში დააწინაურეს. ერთი წლის შემდეგ ახლა უკვე რედაქტორის მოადგილედ დანიშნეს. მაშინ რა იცოდა ბატონმა ვალერიანმა, რომ რედაქციის მუშაობას ვეღარ მოწყდებოდა და ვერც შეელეოდა.

50 წელზე მეტია, რედაქციაში მუშაობს, აქედან 31 წელი რედაქტორია. მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა და ზემდგომთა გადაწყვეტილებით სტამბა და რედაქცია ერთმანეთისგან გათიშეს, რედაქციები დამოუკიდებელ ორგანიზაციებად დარჩნენ და ყველას დაავიწყდა, რომ რაიონული გაზეთი სამეურნეო ანგარიშზეა. ახლად დანიშნულ რედაქტორს და მთელ კოლექტივს ჯოჯოხეთურ პირობებში მოუწია მუშაობა. რედაქცია და სტამბა ერთ შენობაში მდებარეობდა. რედაქცია მაღლა იყო, სტამბა – პირველ სართულზე. აბსურდული მიზეზით სტამბამ უარი გვითხრა გაზეთის ბეჭდვაზე. რედაქტორი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა. გაზეთს ერთი-ორი წელი ხან ხაშურში ვბეჭდავდით, ხან – ქარელში. აღარც სახელმწიფო (გამგეობა) გვაფინანსებდა. სხვა რედაქტორის ხელში ჩვენი რაიონული გაზეთიც დაიხურებოდა, როგორც უმრავლესი გაზეთი დაიხურა მთელ რესპუბლიკაში... ამ სიძნელის ჟამს გამოჩნდა ჩვენი რედაქტორის უტეხი ნება და მიზანსწრაფულობა. მან მიზნად დაისახა საკუთარი სტამბის შექმნა. მაგრამ როგორ? გაზეთი იბეჭდებოდა უზარმაზარ, რამდენიმეტონიან საბეჭდ მანქანაზე.

ბატონმა ვალიკომ თბილისში როგორღაც იშოვა ეს საბეჭდი დანადგარები და ბორჯომში ჩამოიტანა. დიდი წვალებით მეორე სართულზე ავიტანეთ და დავამონტაჟეთ. მანამდე 5-6 მეტრის რელსები სადღაც იშოვა და ისინი სტამბის ოთახში დაამაგრა შენობის საყრდენ კედელზე. უამისოდ საბეჭდი მანქანა თავისი სიმძიმით პირველი სართულის ჭერს ჩამოანგრევდა. შემდეგ ამწეკრანით ეს დაზგაც შემოვიტანეთ და რელსებზე დავდგით. მახსოვს მაშინ როგორ ღრმად ამოვისუნთქეთ და ათიოდე თანამშრომელმა ტაში დავცხეთ.

კვლავ იყო დიდი სიძნელეები, მაგრამ ვალიკოს ორგანიზატორული ნიჭის წყალობით ლელო მაინც გაგვქონდა. შემდეგ კომპიუტერი შემოიჭრა ჩვენს ყოფაში და ის უზარმახარი საბეჭდი მანქანა დასაჭრელი გაგვიხდა. სპონსორების წყალობით ვარსებობდით. სპონსორებსაც რედაქტორის ავტორიტეტით ვპოულობდით.გაზეთი „ბორჯომი“ სიცოცხლეს აგრძელებდა.

ბოლო წლებია, რაიონის ხელმძღვანელობა ფინანსურად გვეხმარება. უამისოდ გაზეთი დაიხურებოდა. ამაში კი ლომის წილი ისევ ჩვენს რედაქტორს ვალიკო ლომიძეს მიუძღვის.

10-კაციანი კოლექტივი ერთ მუშტად შეგვკრა. ჩვენი გაზეთი შინაარსით რესპუბლიკური თუ სამხარეო გაზეთების გამოჩენილ ჟურნალისტებსაც მოწონთ. ეს მომთხოვნი და პრინციპული რედაქტორის დამსახურებაა.

სხვათა შორის, გაზეთი „ბორჯომი“ ერთადერთია სამცხე-ჯავახეთის მხარეში, რომელიც კვირაში ერთხელ გამოდის ყოველგვარი შეფერხების გარეშე. შარშან გაზეთის დაარსების 90 წლისთავი ვიდღესასწაულეთ. ბატონი ვალერიანი მარტო რედაქტორი როდია, ის ჩვენი მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების სული და გულია. ყველა ღონისძიებაზე მას ეძახიან, სიტყვაში გამოსვლას სთხოვენ. თავის წონად სიტყვას ყველგან ამბობს. რამდენიმე ათეული წელია დემოგრაფიული საზოგადოების თავმჯდომარეა, რესპუბლიკის მასშტაბით ლომიძეების საგვარეულო დარბაზის თავმჯდომარეა. ათეული წელი ხელმძღვანელობდა „ბორჯომის საზოგადოებრივი აზრის დარბაზის“ გამგეობას, ახლა ახალი ორგანიზაცია „ბორჯომელები“ შექმნა. რაიონის ხელმძღვანელობას ეხმარება პრობლემური საკითხების გადაწყვეტაში, აყენებს ნოვატორულ წინადადებებს, მის სიტყვას არც კრიტიკა აკლია გაზეთის ფურცლებიდან თუ სხვადასხვა შეხვედრებიდან.

ქალაქის განაპირას ცხოვრობს. კილომეტრნახევარს სულ ფეხით დადის რედაქციამდე. ეზოში ფიზიკურ მუშაობას ეწევა, შრომისმოყვარეობით ყველას აოცებს. თავის წვა-დაგვით შენარჩუნებულ გაზეთს ვერ შეელია, თორემ სხვა გზა რომ აერჩია, თავისი გაქანებით და ნიჭით რესპუბლიკის მასშტაბით ან კარგი ბიზნესმენი დადგებოდა, ან გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე.

შექმნა დიდებული ოჯახი თანაკურსელ ლია ბიბილაშვილთან ერთად. მისი ორივე ქალიშვილი დაოჯახებულია და თბილისში ცხოვრობენ. შვილები, შვილიშვილები ხშირად სტუმრობენ ბორჯომში ბებო-პაპას. თან უამრავ სტუმარს მოიყოლებენ ხოლმე. აბა, ბორჯომში ყოფნა ვის არ სიამოვნებს. მასპინძელიც დიდებულად ხვდება თავისი „ჭურ-მარანით“, განთქმული თამადობით და მოლხენით...

რვა ათეული წელი დაკეცა. მაინც გაოცარი ენერგიით სავსეა. არის ღირსების ორდენის კავალერი, ბორჯომის საპატიო მოქალაქე, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი, სერგეი მესხის ჟურნალისტური პრემიის ლაურეატი, „ოქროს კალმის“ მფლობელი...

იგი ბორჯომის ნამდვილი კოლორიტია. ვერც ბორჯომი ძლებს უიმისოდ!..

კვლავაც დღეგრძელობა-მზეგრძელობას ვუსურვებთ ჩვემს ენერგიადაუშრეტელ რედაქტორს. კალამი არ დაჟანგებოდეს, სამშობლოს სიყარულის გრძნობით და მშობლიურ ქალაქზე ზრუნვით კვლავაც დიდხანს მისაბაძი ყოფილიყოს ყველასთვის!

უშანგი ჯანგირაშვილი,
გაზეთ „ბორჯომის“ რედაქტორის მოადგილე.
ვაჟა-ფშაველას პრემიის ლაურეატი

ისტორიის მაცოცხლებლის ისტორია

სიმბოლურია, რომ „საქართველოს რესპუბლიკა“ და „გურჯისტანი“ საუკუნოვან იუბილეს დღვნილობაში ერთად შეხვდნენ. დიახ, ისევე ვერ დაგვაშორებენ აზერბაიჯანელ კოლეგებს, როგორც ორი მეზობელი და მეგობარი ერია განუყრელი.

პირიქით – მას შემდეგ, რაც თანამედროვე ქართული ფაშიზმის ფუძემდებელი ფიურერის – საკაშვილის ნაცხროვამ გამომცემლობა „სამშობლოდან“ უაპელაციოდ გამოგვაძევა, კიდევ უფრო გავიგეთ ერთმანეთისა და ერთობის ფასი!

აღნიშნულს თვალნათლივ ადასტურებს საგულისხმო თარიღისათვის ხალადინ. ელჩუევისა და **ბინატ ალიოღლუს** ავტორობით გამოცემული ჭეშმარიტად სამაგიდო წიგნი-საჩუქარი „ისტორიის გაცოცხლების ისტორია“ – „გურჯისტანი – 100“, რომელიც უკვდავ აზერბაიჯანელ ჟურნალისტთა ნათელ სულებს ეძღვნება. თმაშევერცხლილი გაზეთი არის სახელმწიფოს ერთგული მსახური, რომელმაც საკუთარ მიზნად დაისახა აზერბაიჯანელი ერის სულიერ ფასეულობათა განმტკიცება, განვითარება, ტოლერანტობა, მულტიკულტურულობა და ეთნიკურ აზერბაიჯანელთა ინტეგრირება საზოგადოებაში – ვკითხულობთ შესავალში. დასტურ, რომ ასეა!

საკმარისია, ტიტანური შრომით აკინძული ნაღვაწის სარჩევს შეავლო თვალი, რომ დარწმუნდე – სადაც პროფესიონალიზმი მეფობს და გული გულობს, იქ მადლიერების გამოხატვაც ადვილი ჩანს და მომავალსაც ოპტიმისტურად შესცქერი: „ავტორები“, „რა არის გაზეთი?“, „კომუნისტიდან“ „გურჯისტანამდე“, „სხვა გამოცემები აზერბაიჯანულ ენაზე“, „ჩვენ არ გივიწყებთ, თქვენ ჩვენს გულებში ხართ“, „გვილოცავენ“, „გურჯისტანის მოამაგენი“, „თბილისო, კაცობრიობამ შეიყვარა შენი სილამაზე“.

ეს, ასე ვთქვათ, მშრალი ჩამონათვალი, მაგრამ განსაკუთრებით უნდა შევჩერდეთ აზერბაიჯანული ეროვნული პრესის მესაძირკვლეზე **ჰასან ბეგი ზარდაბზე** (ჰასან ბეი მელიქოვი), რომელმაც 1875 წლის 22 ივლისს ბაქოში, გუბერნატორის გამომცემლობაში აზერბაიჯანულ ენაზე პირველი გაზეთი „ექინჯი“ გამოუშვა, რომელიც 2 წლის განმავლობაში თვეში 2 ნომრად 300-400 ეგზემპლარიანი ტირაჟით მიეწოდებოდა მკითხველს, სულ კი დაარსებიდან შეწყვეტამდე 56 ნომერი დაიბეჭდა.

წიგნს კიდევ უფრო ფასეულს ხდის მის შემდგენელთა მიერ ღირსეულად წარმოჩენილი თბილისი-ქალაქი, რომელიც XIX საუკუნეში მწერალთა, მწიგნობართა და მოღვაწეთა შეკრების აღიარებული სივრცე იყო: **„თბილისი, როგორც კავკასიის კულტურის აკვანი, ყველას იზიდავდა. აქ სხვადასხვა ენაზე იხსნებოდა სკოლები, იქმნებოდა თეატრები, ეროვნული პრესის ორგანოები და გამომცემლობები, რასაც უამრავი გაზეთისა და წიგნის ბეჭდვა მოპყვა“.**

ისტორია ისტორიად, მაგრამ არც მაშინდელი „სოვეტ გურჯისტანის“ ლეგენდარული რედაქტორის სულეიმან სულეიმანოვის გამორჩეული შემოქმედებაა მივიწყებული, როცა 1979 წელს გაზეთმა მოსკოვში გამართულ საკავშირო-სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე ლაურეატის წოდება მოიპოვა, მისი თანამშრომლები კი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებით დაჯილდოვდნენ.

დაგვეთანხმებით, ნიშანდობლივი ფაქტია, რომ ქართულ-აზერბაიჯანული ლექსიკონის თანაავტორი (23 ათასი სიტყვა) საქართველოს ისტორიის, საქართველოს გეოგრაფიის, საქართველოს კონსტიტუციის, ილია ჭავჭავაძისა და ნოდარ დუმბაძის ნააზრევთა მთარგმნელიცაა. ასე იყო, ასე არის და ასე იქნება – ვიყავით, ვართ და ვიქნებით მარად ერთად! კიდევ მრავალი საუკუნე იცოცხლე, „გურჯისტანო“!

მირზა გურჯიევი

ახალი ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ, იური ნოზაძემ და დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავმჯდომარემ, დავით იოსებაშვილმა კოლხეთის ეროვნულ პარკში ახლადმოწყობილი ინფრასტრუქტურა და მიმდინარე სამუშაოები მოინახულეს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარე წელს, კოლხეთის ეროვნული პარკის მრავალფეროვან ეკოტურისტულ სერვისებს ზიპ-ლაინი და კლდეზე საცოცი კედლის ატრაქციები შეემატა. დღეიდან კოლხეთის ეროვნულ პარკში მისულ ვიზიტორს შესაძლებლობა ექნება საწყლსნო სერვისების გარდა თავი გამოსცადოს დამატებით გასართობ აქტივობებში.

კოლხეთის ეროვნულ პარკში ეკოტურიზმის განვითარება უწყვეტად მიმდინარეობს. გასულ წელს, ვიზიტორთა ცენტრის ეზოში 4 ეკოტურისტული კოტეჯი მოეწყო, აშენდა ახალი ნავმისადგომი, განახლდა მდინარე ფიჩორის საპიკნიკე, უახლოეს პერიოდში კი დასრულდება კაფეტერიის მოწყობის სამუშაოები.

ლეგენდარული ქართველი ქირურგი

...მამამჩემი ალექსანდრე მარგველაშვილი ნაღდი ვაჟკაცი იყო — მაღალი, აღნაგი, პირხმელი, ფიზიკურად სრულყოფილი და ძლიერი. დედა ჭაბუკობაში გაუცნია და მთელი არსებით შეჰყვარებიათ ერთმანეთი. ამასობაში ომი დაიწყო. მამა ისე გაიწვიეს არმიაში, დაქორწინება ვერ მოასწრეს...

ქერჩში ბრძოლების დროს იგი მძიმედ დაიჭრა და ფეხი მუხლს ქვემოთ მოჰკვეთეს. ჭრილობა გაუმიზეზდა, ამიტომ საფუძვლიანი მკურნალობისთვის სამშობლოში გამოისტუმრეს, რადგან შეიძლება ჭრილობა სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა...

„არამიანცში“ დააწვინეს, რომელიც ომის დროს სამხედრო ჰოსპიტალი იყო. როგორც კი დედამ ეს ამბავი შეიტყო, ყველაფერი მიატოვა და მაშინვე ჰოსპიტალს მიაშურა — მამას თავზე დაადგა. ის იყო მისი მომვლელიც, ექთანიც, ექიმიც და ნუგეშისმცემელიც. მამა ხედავდა საყვარელი ადამიანის ამ თავდადებას, მაგრამ გულში სულ სხვა ცეცხლი უტრიალებდა: ეგონა, ამას მხოლოდ სიბრალულის გამო სჩადიოდა. ვერა და ვერ დაეჯერებინა, რომ ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ლამაზი ქალი თამარ კობახიძე, რომელსაც, ვინ იცის, მომავალში რა ბედი ელოდა, ბოლომდე უერთგულებდა და ცოლად გაჰყვებოდა მას — ხეიბარს, ვისი სიცოცხლეც ჯერაც ბეწვზე ეკიდა და მომავალიც ბურუსით იყო მოცული...

ეტყობა, ამის თაობაზე არაერთხელ უსაუბრიათ და უკამათიათ. რადგან თავის გულწრფელობასა და გადაწყვეტილების სიმტკიცეში საქმრო ვერ დაარწმუნა, ახალგაზრდა ქალს ბევრი აღარ უფიქრია, ჰოსპიტალში მიუყვანია მმაჩის ბიუროს თანამშრომელი და... ქორწინება ოფიციალურად გაუფორმებია.

ამ ნაბიჯის გადადგმა დედას არასოდეს უნანია. ლამაზი, განათლებული ახალგაზრდა სტუდენტი დიპლომატის მხრიდან ეს ნაბიჯი მართლაც გმირობის ტოლფასი იყო. დედამ, სპეციალობით მეტყევე ინჟინერმა, სამი ვაჟი გაგვზარდა. მამაც და ჩვენც - შვილებიც, ჯეროვნად ვაფასებდით მის ამ ზნეკეთილ ნაბიჯს - დღეს იქნებ ბევრისთვის ძნელად ასახსნელს...

მათ დიდხანს და ბედნიერად იცხოვრეს.

ომის დამთავრებისთანავე მამა სამკურნალოდ ლენინგრადში წავიდა. იგი გადარჩენას ალიარებულ ძირურგს, გენერალ-ლეიტენანტს, სოციალისტური შრომის გმირს, აკადემიკოს იუსტინე ჯანელიძეს უმადლიდა.ბატონმა იუსტინემ მთელი ბლოკადა იძ გაატარა და უამრავი ადამიანის სიცოცხლე იხსნა.

ქართველი კარდიოქირურგი, ლეგენდარული პიროვნება შესულია მსოფლიოს ყველა ენციკლოპედიასა და თანამედროვე სამედიცინო სახელმძღვანელოში, როგორც პირველი ქირურგი, რომელმაც 30 წლის ასაკში, მსოფლიოში პირველად გაკეთა ოპერაცია მუშა გულზე 1913 წელს პეტერბურგში. მან შეძლო გულში ტყვიით დაჭრილი და აორტაგაგლეჯილი ადამიანის გადარჩენა.

იუსტინე ჯანელიძე დაიბადა 1883 წლის 2 აგვისტოს, სამტრედიაში. 1903 წელს დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია. ჩააბარა ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტზე, სამედიცინო განათლება მიიღო ჟენევის უნივერსიტეტში და იქვე 1909 წელს ფრანგულ ენაზე დაიცვა დისერტაცია.

1910 წელს რუსეთში დაბრუნდა და სანკტ-პეტერბურგში დაიწყო მოღვაწეობა. სრულყოფილად ფლობდა ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ ენებს. 1932 წელს დააარსა ლენინგრადის სასწრაფო დახმარების ინსტიტუტი, რომელიც 1950 წლიდან მის სახელს ატარებს.



მამა ალექსანდრე მარგველაშვილი

დედა თამარ კობახიძე

მეორე მსოფლიო ომის დროს იუსტინე ჯანელიძე იყო სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარი ქირურგი. იყო საბჭოთა კავშირის ქირურგთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

მის პატივსაცემად 50-მდე სამედიცინო მანიპულაციას დღესაც ჯანელიძის სახელი ეწოდება, როგორც აღმომჩენისა და პრაქტიკაში დამნერგავის.

„ეს ის გაბედული წარსულია, რომლის მხრებზეც ვდგავართ ჩვენ, დღევანდელი კარდიოქირურგები, ახალი ათასწლეულის გამოწვევათა მიჯნაზე“, — ასე გაიხსენეს ჯანელიძის ღვაწლი იმ ურთულესი ოპერაციიდან საუკუნეზე მეტი ხნის გასვლის შემდეგ, 2000 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში აშშ-ის ჰიუსტონის გულის ინსტიტუტში.

იუსტინე ჯანელიძე

იუსტინე ჯანელიძე ვერ იტანდა ულირს საქციელს. ერთი თავის მოწაფეთაგანი, რომელმაც საგაზეთო სტატიაში უარყო საკუთარი მამა იმიტომ, რომ იგი მღვდელი იყო: „თქვენ დღეს არ დაინდეთ და უარყავით საკუთარი მამა, ვინც თქვენ გაგზარდათ. ხვალ თქვენ შეიძლება უარმყოთ მეც, თქვენი მასწავლებელი, შემდეგ საკუთარი სამშობლოც... მე და თქვენ ერთად ვეღარ ვიმუშავებთ...“ და დაითხოვა.

პროფესორი ჯანელიძე მიწვევით სამი თვით აშშ-ში მივლინებით იმყოფებოდა. იქიდან დაბრუნებულმა შემაჯამებელ სხდომაზე გამოსვლისას გულწრფელად აღიარა — 100 წლით ჩამოვრჩებით ამერიკის შეერთებულ შტატებსო. ამ სიტყვებისთვის მაშინ დასაჯეს იმით, რომ ოპერაციების გაკეთება აუკრძალეს და მხოლოდ საგანმანათლებლო საქმიანობის უფლება დაუტოვეს.

ამ ამბიდან 6 თვის შემდეგ სტალინის საყვარელ ძალიშვილს სვეტლანას დახმარება დასჭირდა. გოგონას მუცლის ტკივილები დაეწყო და ზუსტად ვერავინ ამბობდა მიზეზს. ბოლოს, სტალინის მოთხოვნით ჯანელიძე მიიწვიეს. აპენდიციტი - დასვა დიაგნოზი პროფესორმა და ოპერაციაც გააკეთა. ამის შემდეგ ლეგენდარულ ძირურგს კვლავ დართეს საქმიანობის ნება.

უპარტიო ჯანელიძეს ვერცერთ თანამდებობაზე ყოფნისას ვერ გაუბედეს პარტიაში შესვლის შეთავაზებაც კი.

1947 წელს, რკინის ფარდის ჩამოშვების მიუხედავად, იუსტინე ჯანელიძე აირჩიეს საფრანგეთის ქირურგთა საზოგადოების საპატიო წევრად და ევროპის ქირურგთა საერთაშორისო ასოციაციის ნამდვილ წევრად.

საგულისხმოა, რომ, როდესაც გარდაიცვალა, ლენინგრადის ინტელიგენციამ და თითქმის მთელი ქალაქის მოსახლეობამ რამდენიმე კილომეტრის მანძილზე ფეხით მიაცილა იმ სუსხიან დღეს ვოლკოვის მემორიალურ სასაფლაოზე და დიდი კორიფეების — მენდელეევის და პიროგოვის საფლავებს შორის მიაბარა მიწას 1950 წლის 17 იანვარს.

მამა ყოველთვის თვალცრემლიანი იგონებდა ამ ღვაწლმოსილ, გულისხმიერ და კეთილგონიერ პიროვნებას.

ომარ მარგველაშვილი

თუშეთის გზის პროექტი იწყება

ფშაველი-აბანო-ომალოს 72-კმიანი გზის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების პროექტი იწყება. პროექტს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტი განახორციელებს.

თუშეთის გზის პროექტი 8 მონაკვეთადაა დაყოფილი. ტენდერი უკვე გამოცხადდა გზის პირველი 13.5 კმიანი მონაკვეთის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების სამუშაოებზე. აგვისტოში ტენდერი კიდევ 14.7 კმ-იანი მონაკვეთის სამუშაოებზე გამოცხადდება. გზის 28.2 კმ-იანი მონაკვეთის სამუშაოების საერთო საორიენტაციო ღირებულება 49 მილიონი ლარი იქნება. მიმდინარე წლის ბოლომდე ტენდერი თუშეთის გზის ყველა მონაკვეთის სამუშაოებზე გამოცხადდება. ფშაველა-ომალოს გზის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების პროექტი საავტომობილო გზების დეპარტამენტმა მოამზადა. პროექტი ითვალისწინებს საავტომობილო გზის პროფილის აღდგენას, წყალგამტარი, წყალამრიდი და ხელოვნური ნაგებობების მოწყობას, მოძრაობის რეგულირების ტექნიკური საშუალებების სრულყოფილ აღდგენას, მიწის ვაკისის, შესაძლებლობის ფარგლებში, გაგანიერებას და მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ბოგიროვანი ზღუდარების მოწყობას.

ფშაველი-ომალოს საავტომობილო გზის პირველ მონაკვეთზე დაგეგმილია მოასფალტებული გზის კაპიტალური რეაბილიტაცია, ასფალტისა და ბეტონის საფარის მოწყობით. დანარჩენი მონაკვეთების საფარი, რელიეფიდან გამომდინარე, გრუნტიანი დარჩება, აღდგება გზის დაზიანებული ადგილები და გაუმჯობესდება არსებული პარამეტრები.

ფშაველი-აბანო-ომალოს გზის საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესების პროექტი ეტაპობრივად, 2025 წელს დასრულდება. პროექტის საერთო საორიენტაციო ღირებულება 100 მილიონი ლარი იქნება, — აცხადებენ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

ასფალტის საფარი გაბაშვილის ქუჩაზე

ჩუღურეთის რაიონში, გაბაშვილის ქუჩაზე, 2 200 კვადრატულ მეტრზე ასფალტის ორფენიანი საფარი იგება.

მიმდინარე სამუშაოები თბილისის მერის მოადგილემ კახა გულედანმა ჩუღურეთის რაიონის გამგებელთან დავით უთმელიძესთან ერთად დაათვალიერა. პროექტის ფარგლებში, მოეწყობა ბორდიურები და საფეხმავლო ბილიკი. აღნიშნული სამუშაოებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 170 000 ლარი გამოიყო.

მიმდინარე წელს საგზაო ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა 21 508 კვ.მ ფართობზე, რისთვისაც 1 333 340,73 ლარი დაიხარჯა.

ვიქტორ ყიფიანი:

ეს არის მორიგი წნეხი, რომლის მარწუხებშიც ექცევა „კრედიტ სუისი“...

ვიქტორ ყიფიანმა ბიძინა ივანიშვილისა და „კრედიტ სუისის“ დავაგე სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილება შეაფასა

„ეს არის ის საკითხი, რომელიც 4 მარტიდან იწყება და უკავშირდება მეტად უჩვეულო მომიზეზებას „კრედიტ სუისის“ სტრუქტურის მხრიდან. ეს არის თანხა, რომელსაც ბერმუდებზე მიმდინარე დავასთან საერთო არაფერი აქვს. ეს არის აბსოლუტურად სხვა აქტივები. მეტიც, ეს ის ფინანსური აქტივებია, რომელიც არ არის განთავსებული „კრედიტ სუისში“, როგორც ბანკში, არამედ სხვა შვეიცარიულ ბანკშია განთავსებული. ერთადერთი, რაც გამოარჩევს ამ თანხას, არის ის, რომ მას „კრედიტ სუისის“ მიერ შექმნილი ტრასტი მართავს.

რაც შეეხება ბერმუდის გადაწყვეტილებას, რით გამოირჩევა 25 ივლისის დადგენილება — მოგეხსენებათ, რომ მარტში იმავე სასამართლომ მოპასუხე მხარეს დააკისრა 607 350 000 დოლარის გადახდა. მაგრამ ჰაერში გამოკიდებული იყო ის, თუ როგორ მოხდებოდა ამ თანხის გადახდის აღსრულება. მოპასუხე მხარემ გააცნობიერა რა, რომ მისი შუამდგომლობა დაუყოვნებლივი აღსრულების შეჩერებაზე უშედეგო იქნებოდა, სასამართლო პროცესის მსვლელობისას სასამართლოს შესთავაზა გარანტის წარდგენა. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ გარანტია იქნება მორიგი უსაფუძვლო დაპირება ბანკის მხრიდან, ისეთი, როგორიც არაერთგზის ყოფილა წარსულში, რომ ეს იქნებოდა ის ვალდებულება, რომელსაც ბანკი დაარღვევდა, როგორც არაერთ სხვა ვალდებულებას წარსულში. ეს განაპირობებდა ჩვენი მხრიდან არც მეტი, არც ნაკლები მორიგ დავაში შესვლას.

ამდენად, იმის მიუხედავად, რომ ბანკი ძალიან ებღაუჭებოდა ამ მექანიზმს, რომ რეალურად ბანკიდან ფულის გასვლა არ მომხდარიყო, ჩვენ დავასაბუთეთ ჩვენი არგუმენტი: პირველი — რამდენად სარწმუნო იქნებოდა ეს ვალდებულება და მეორე — ბანკის მდგომარეობის გათვალისწინებით, რომელიც არაერთ სკანდალშია გახვეული და რომლის ფინანსური მდგომარეობა ძალიან საორჭოფოა, ნებისმიერი ასეთი ვალდებულება საშუალოვადიან ან გრძელვადიან პერსპექტივაში, მანამ სანამ ყველა სააპელაციო ინსტანცია არ იქნებოდა ამოწურული, ბუნებრივია, ჩვენ სიმყარისა და სიმტკიცის გრძნობას არ გვანიჭებდა.

აქედან გამომდინარე, ჩვენი კონტრწინადადება იყო თანხის დეპონირება სპეციალურად განწესებულ ანგარიშზე. სასამართლომ დააკმაყოფილა ეს ჩვენი შუამდგომლობა და მივიჩნევთ, რომ ეს არის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი წარმატება, რომლის ზონა და წონა მხოლოდ ტაქტიკური წარმატების მნიშვნელობას აღემატება. გადაწყვეტილების გამოქვეყნებიდან 42 დღეში ბანკს ევალება რეალურად, ფიზიკურად 607 350 000 მილიონი დოლარის განთავსება სპეციალურად განწესებულ ანგარიშზე ერთ-ერთ შვეიცარიულ ბანკში. ამიტომ, ჩვენ ვთვლით, რომ ეს არის მორიგი წნეხი, რომლის მარწუხებშიც ექცევა ბანკი და რომელმაც, როგორც წესი, ბანკის მხრიდან უნდა განაპირობოს მეტი შეთანხმებისუნარიანობა“...

ბიძინა ივანიშვილმა შვეიცარიულ ბანკს კიდევ ერთი დავა მოუგო. ბერმუდის უზენაესი სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილებით, „კრედიტ სუისის“ შვილობილ კომპანიას 600 მილიონ დოლარზე მეტი ზიანის ანაზღაურება 42 დღის განმავლობაში დაეკისრა.



არაეთიკურია, — ასე აფასებს გადამდგარი გენერალ-მაიორი, საქართველოს გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი, ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს ყოფილი წარმომადგენელი, „ჯეოქეისის“ მრჩეველი ვახტანგ კაპანაძე საქართველოში გაჩაღებულ ანტიდასავლურ კამპანიას, მათ შორის აშშ-ის ელჩზე განხორციელებულ შტურმს.

მისი ხედვით, თუ არსებობს გარკვეული პრობლემები, საქართველო-აშშ-ის ურთიერთობების დონეზე იძლეოდა შესაძლებლობას, ეს დახურულ კარს მიღმა, არგუმენტირებულად განხილულიყო და — არა არაეთიკურად, საჯაროდ.

„იარაღიანი ძმები“

ვახტანგ კაპანაძე: რთული სათქმელია, სად ვიქნებოდით აშშ-ის დახმარების გარეშე ან საერთოდ ვიქნებოდით, თუ არა!

„აშშ ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეა! რეგიონში აზერბაიჯანის უახლოესი სტრატეგიული პარტნიორი და მხარდამჭერია თურქეთი, სომხეთი რუსეთის ქოლგის ქვეშაა, საქართველოს ნატოს წევრობა სურს, მაგრამ ჯერ ალიანსის წევრი არაა. ამ მოცემულობაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს აშშ-ს, რომელსაც უპირველესად, აქვს სურვილი, დაგეხმაროს და აქვს ამის ინტერესიც. ჩვენ მით უმეტეს გვჭირდება მათი მხარდაჭერა და გვერდში დგომა, განსაკუთრებით ისეთ რთულ პერიოდში, როგორიც ახლაა მსოფლიოში“, — აღწერს რეგიონში შექმნილ მოცემულობას გენერალი და განმარტავს სამხედრო სფეროში საქართველოსთვის სტრატეგიული პარტნიორის მხარდაჭერის მნიშვნელობას, მათ შორის თავდაცვისუნარიანობისა და ნატოსთან თავსებადობის ამაღლების კუთხით, რომლის წევრობაც საქართველოს მოქალაქეებს რუსეთის ნეგატიური გავლენისგან თავის საბოლოოდ დაღწევის, დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის შენარჩუნებისა და გრძელვადიანი მშვიდობის უზრუნველყოფის მიზნით სურთ:

„აშშ-საქართველოს სამხედრო კუთხით ურთიერთობები წლებს ითვლის: 2000-იანებიდან დაწყებული აქტიურად მიმდინარეობდა ჩვენი დანაყოფების მომზადება; აშშ-ს მნიშვნელოვანი როლი აქვს ნატოში გაწევრიანების მხარდაჭერასთან დაკავშირებით. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ერაყსა და ავღანეთის მისიებში ამერიკელების გვერდით ვმონაწილეობდით და არა მხოლოდ იმიტომ, რომ ამით ჩვენ ვაჩვენებდით, რომ არა მხოლოდ მიმღებნი ვართ საერთაშორისო მხარდაჭერის და უსაფრთხოების მექანიზმების, არამედ თავადაც ვმონაწილეობდით მსოფლიო უსაფრთხოების რიგი საკითხების გადაწყვეტაში (ეს პოლიტიკური განზომილებაა). სამხედრო თვალსაზრისით კი ეს უდიდესი სამხედრო გამოცდილებაა. ვერავითარი სამხედრო სწავლებები ვერ შეცვლის, როდესაც უშუალოდ სამხედრო ოპერაციებში ილებ მონაწილეობას ისეთი პარტნიორის გვერდზე, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატებია. აშშ ყოველწლიურად გამოყოფს ფონდებს, რაც საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარებაზე იხარჯება, უამრავი პროგრამაა. ამჟამად მიმდინარე პროგრამით აშშ ჩვენი ბატალიონების მომზადებაში გვეხმარება, რაც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაზეა მორგებული“.

გენერალს უჭირს თქმა, რა მოცემულობაში იქნებოდა დღეს საქართველო აშშ-ის მხარდაჭერის გარეშე:

„არ გვიწევდნენ დახმარებას და ყველანი 90-იანებში ვხედავდით, სადაც ვიყავით! ფაქტია, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია ეს დახმარება, ჯერ აღჭურვის, შემდეგ უშუალოდ მომზადების და თანამედროვე ომის ხელოვნების ათვისების კუთხით. ძალიან ბევრი ბენეფიტია, ყველაფერს ვერც ჩამოვთვლი და რადგან რთული სათქმელია, სად ვიქნებოდით ამ დახმარების გარეშე ან საერთოდ ვიქნებოდით თუ არა?! ყოველ შემთხვევაში, აშშ-ის აქტიური მხარდაჭერა ჩვენ ძალიან გვეხმარება, ნატოს სტანდარტების შესაბამისი შეიარაღებული ძალები გვყავდეს და ამ სტანდარტებთან შესაბამისობას ალიანსის სამხედრო კომიტეტიც აღიარებს. ის რომ, ჯერ არ ვართ ალიანსის წევრები, ამაზე პოლიტიკური ფაქტორები მოქმედებს“.

თანასწორი, პარტნიორული ურთიერთობების კონტექსტში გენერალი იხსენებს რამდენიმე ეპიზოდს აშშ-საქართველოს ურთიერთობებიდან და ამბობს, რომ პარალელს ვერც გაავლებს ჩრდილოელ მეზობელთან, რადგან შედარება შეუძლებელია:

„აბსოლუტურად პარტნიორული დამოკიდებულებაა, განსაკუთრებით, ჩვენმა ბიჭებმა, ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა დაამტკიცეს, თუ რამდენად სანდონი და ეფექტიანნი იყვნენ. ეს პატივისცემა ნამდვილად ოფლით და სისხლითაა მოპოვებული. არ ვარ პოლიტიკოსი, ამიტომ, მხოლოდ სამხედრო კუთხით ვისაუბრებ და რამდენიმე მაგალითს გავიხსენებ: ჩვენები ძირითადად ამერიკის საზღვაო ქვეითებთან ერთად იყვნენ ბაზაზე ავღანეთის მისიის პირველი როტაციების პერიოდში. „მზად ვართ, ქართველებთან ერთად ნებისმიერ ამოცანაზე წავიდეთო“! — ასეთი დამოკიდებულება იყო ამერიკელების მხრიდან და ამას არ უწოდებდნენ პარტნიორობას, გამოიყენებოდა ტერმინი „იარაღიანი ძმები“. ჩვენები დახმარებას უწევდნენ მათ, ბევრჯერ გამოუყვანიათ დაჭრილი ამერიკელები და ასევე არ ყოყმანობდნენ ამერიკელები, როდესაც ჩვენებს სჭირდებოდათ დახმარება.

ამასთან, 2008 წელს, აგვისტოს ომის დროს, ერაყიდან ჩვენი დანაყოფები ამერიკული სატრანსპორტო თვითმფრინავებით ჩამოიყვანეს. იყო საშიშროება, რუსებს ეს დანაყოფი დაებომბათ. ამერიკულმა თვითმფრინავებმა მანამ არ დატოვეს აეროდრომი, ვიდრე ბოლო ჯარისკაცი არ ჩაჯდა ავტობუსში და არ გავიდა ტერიტორიიდან, რათა რუსებს ვერ გაებედათ დაბომბვის განხორციელება. ესეც ძალიან მნიშვნელოვანი დეტალია“, — იხსენებს კაპანაძე და დასძენს, „აქ არ იყო ზემოდან თუ უკნიდან „ყურება“, რაც სამხედრო საკითხებს ეხება, ეს არის აბსოლუტურად თანაბარი, პარტნიორული ურთიერთობები.

„ჩვენთან იქცა ყავლგასულ შეფასებად „საძმო“, მაგრამ სამხედროებში ეს ტერმინი დარჩენილია და ამერიკულ-ქართულ სამხედრო ურთიერთობებს ნამდვილად მიესადაგება!“, — ამბობს გენერალი.

რაც შეეხება დასავლეთის მხრიდან საქართველოს ომში ჩათრევის მცდელობებს, რაც ანტიდასავლური და პრორუსული პროპაგანდის ერთ-ერთ მთავარ ხაზად იქცა, მით უფრო ბოლო პერიოდში, გენერალი მოკლედ პასუხობს:

„თუ სახელმწიფო ხარ, როგორ უნდა ჩაგითრიონს ვილაცამ და შენი პრინციპები როგორ ვერ უნდა განსაზღვრო?! მე მსგავსი მცდელობები, მით უფრო ამერიკელებისგან, არ შემიმჩნევია“.

მოთხოვნა ინტერესის გამოსახატავად

საქართველო
აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის კორიდორის გაუმჯობესების პროექტი
სესხის/კრედიტის № IBRD 85470
პროექტის №: P149952
დავალების დასახელება: გზით მოსარგებლეთა კმაყოფილების კვლევა (საწყისი და საბოლოო)
კონტრაქტის ნომერი: EWHCIP/CS/CQS-03

საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალის კორიდორის გაუმჯობესების პროექტისთვის**. აღნიშნული დაფინანსების გარკვეული ნაწილი გამოყენებული იქნება ხსენებული პროექტის ფარგლებში შესასყიდი საქონლის, სამუშაოების, საჭირო მომსახურებისა და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯების ასანაზღაურებლად.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ **კონსულტანტებს** ინტერესის გამოსახატად შემდეგი საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად: **გზით მოსარგებლეთა კმაყოფილების კვლევა (საწყისი და საბოლოო).**

კვლევის მიზანია გზით მოსარგებლეებისგან, მათ შორის დაბალი შემოსავლის მქონე ან/და მდედრობითი სქესის პირებისგან, შეგროვდეს ინფორმაცია. გზით მოსარგებლეთა კმაყოფილების კვლევა ველზე ჩატარდება ორ ეტაპად: სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე და დასრულების შემდეგ. კვლევა იძლევა საშუალებას გაგებულ იქნას საზოგადოებრივი აზრი (i) საავტომობილო გზის მონაკვეთების და (ii) მაგისტრალის გასწვრივ მიწოდებული მომსახურების ხარისხზე, უსაფრთხოებასა და სანდოობაზე.

კვლევა სავარაუდოდ 2022 წლის აგვისტოში დაიწყება და მოიცავს ორ ეტაპს:

ფაზა I:

აქტივობა 1: მოსარგებლეთ კმაყოფილების კვლევა იმ მონაკვეთებისთვის, სადაც საავტომობილო მოძრაობა არის გახსნილი:

- E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მონაკვეთი აგარადან ზემო ოსიაურამდე
- E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მონაკვეთი ზემო ოსიაურიდან - სურამის კვანძამდე.

აქტივობა 2: მოსარგებთლეთა გამოკითხვა შემდეგი მონაკვეთებისთვის, სადაც ამჟამად მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები:

- E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის მონაკვეთი სურამის კვანძიდან ხევამდე (ეს მონაკვეთი ასევე შეფასდება რეტროაქტიულად: როგორი იყო გზა სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე).

ფაზა II: 2023 წელს საავტომობილო გზის მონაკვეთის გახსნის შემდეგ გზით მოსარგებლეთა კმაყოფილების კვლევა: მონაკვეთი სურამის კვანძიდან ხევამდე (ეს მონაკვეთი შეფასდება მშენებლობის დასრულების შემდეგ და შედარება I ფაზის, აქტივობა 2-ის შედეგებთან).

დავალების დასრულება მოსალოდნელია 2023 წლის ნოემბრისთვის.

კვლევის ზოგადი მიზანია გამოავლინოს რამდენად კმაყოფილნი არიან გზით მოსარგებლეები გზისა და თბილისი - სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის მონაკვეთების (აგარას შემოვლითი-გომის (ზემო-ოსიაური), ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის და ჩუმათელეთი-ხევის მონაკვეთების) გასწვრივ მიწოდებული მომსახურების ხარისხით. კვლევის მიზანია დაადგინოს გზით მოსარგებლეთა აღქმა კომფორტის, უსაფრთხოების, სანდოობის და ხელმისაწვდომობის შესახებ იმ აშენებულ და გაუმჯობესებულ გზის მონაკვეთებთან მიმართებით, რომლებითაც ისინი სარგებლობენ ან ცხოვრობენ მათ მიმდებარედ.

ტექნიკური დავალება ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე:
https://www.dropbox.com/sh/qxctvqngo7cq7q1/AADZbrxTHae8qdFFuYb7nGCPa?dl=0

კონსულტანტის შერჩევისთვის განსაზღვრულია შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა უნდა წარმოადგინონ ინფორმაცია, რომელიც ადასტურებს, რომ მათ აქვთ საჭირო კვალიფიკაცია და შესაბამისი გამოცდილება მომსახურების გასაწევად. კონსულტანტს უნდა ჰქონდეს ინფრასტრუქტურულ პროექტებში მსგავსი კვლევების ჩატარების გამოცდილება. კერძოდ, კონსულტანტის გამოცდილება უნდა მოიცავდეს კვლევის დიზაინს და განხორციელებას, მონაცემთა შეყვანის, გადამოწმების, ანალიზისა და ანგარიშგების ჩათვლით. მსოფლიო ბანკის პოლიტიკის ცოდნა ჩაითვლება უპირატესობად.

ინტერესის გამოხატვა უნდა მოიცავდეს (მაგრამ არა მხოლოდ შემდეგს: პროექტით გათვალისწინებული განსახორციელებელი აქტივობების შესაბამის გამოცდილებას, კომპანიის პროფილს და ძირითადი პერსონალის კვალიფიკაციას.

დავალების შესაბამის პროექტებში გამოცდილება წარმოდგენილი უნდა იყოს გამოცდილების შესაბამის ფორმაში, რომელიც ატვირთულია ტექნიკურ დავალებასთან ერთად.

„მოკლე სიის“ კრიტერიუმებია:

- ზოგადი გამოცდილება;
- მსგავსი გამოცდილება ინფრასტრუქტურულ პროექტებში კვლევების ჩატარებაში ბოლო 5 წლის განმავლობაში (დასრულებული 2017 წელს ან/და მას შემდეგ).

საავტომობილო გზების დეპარტამენტი იტოვებს უფლებას გადაამოწმოს წარმოდგენილი ინფორმაცია და გამოიყენოს ის შეფასების მიზნებისთვის.

დაინტერესებულმა კონსულტანტებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ მსოფლიო ბანკის ინსტრუქციების – „მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება [რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში]“ (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში, “კონსულტანტების სახელმძღვანელო პრინციპები”) – 1.9 პარაგრაფზე, სადაც განსაზღვრულია მსოფლიო ბანკის პოლიტიკა ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ამასთანავე, გასათვალისწინებელია ქვემოთ მოცემული ინფორმაცია, რომელიც ეხება აღნიშნულ დავალებასთან დაკავშირებულ ინტერესთა კონფლიქტს: კონსულტანტი დავალებასთან მიმართებაში ანაზღაურებას მიიღებს მხოლოდ კონტრაქტში მითითებული პირობების შესაბამისად. დაუშვებელია კონსულტანტისა და მისი ფილიალების მონაწილეობა ისეთ საკონსულტაციო ან სხვა ღონისძიებებში, რომლებიც კონტრაქტის თანახმად დამკვეთთან ინტერესთა კონფლიქტს წარმოშობს. კონტრაქტი უნდა მოიცავდეს პირობებს, რომლითაც იზღუდება მომავალში კონსულტანტის მონაწილეობა სხვა მომსახურებებში, რომელიც გამომდინარეობს ან პირდაპირ კავშირშია ფირმის საკონსულტაციო მომსახურეობებთან ინსტრუქციების 1.9 და 1.10 პარაგრაფებით გათვალისწინებული მოთხოვნების თანახმად.

კონსულტანტებს კვალიფიკაციის გაუმჯობესების მიზნით შეუძლიათ გაერთიანდნენ (გასათვალისწინებელია, რომ მსოფლიო ბანკისთვის მისაღები გაერთიანების ფორმაა ან ქვე-კონსულტანტი ან ერთობლივი საწარმო. წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად უნდა იყოს მითითებული ასოციაციის სახე). ქვე-კონსულტანტების გამოცდილება არ იქნება გათვალისწინებული კომპანიის კორპორატიული გამოცდილების შეფასების დროს.

კონსულტანტების მიერ წარმოდგენილი ინტერესის გამოხატვა არ უნდა აღემატებოდეს 30 გვერდს. დანართის სახით შესაძლებელია კომპანიის ბროშურის წარმოდგენა და ეს არ ჩაითვლება ლიმიტის დარღვევად.

კონსულტანტის შერჩევა მოხდება კონსულტანტის კვალიფიკაციის საფუძველზე (CQS) შერჩევის მეთოდით მსოფლიო ბანკის შესყიდვის სახელმძღვანელოში განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად: მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ კონსულტანტების შერჩევა და დაქირავება (2011 წლის იანვრის გამოცემა, განახლებული 2014 წლის ივლისში).

დაინტერესებულ კონსულტანტებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ ელ-ფოსტაზე: info@georoad.ge

ინტერესის გამოხატვის ელექტრონული ან ბეჭდური ვერსია წარმოდგენილი უნდა იქნას ქვემოთ მითითებულ მისამართზე არაუგვიანეს **2022 წლის 12 აგვისტოს 17:00 საათისა.**

საკონტაქტო პირი: სალომე წურწუმია

თანამდებობა: საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს საავტმობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზირი №12, თბილისი, 0160, საქართველო

ელ. ფოსტა: info@georoad.ge

REQUEST FOR EXPRESSIONS OF INTEREST

Georgia
East-West Highway Corridor Improvement Project (EWHCIP)
Loan No. IBRD 85470
Project No. P149952
Assignment Title: Road Users Satisfaction Survey (Baseline and Follow up)
Reference No: EWHCIP/CS/CQS-03

The Government of Georgia has received financing from the World Bank toward the cost of the **East-West Highway Corridor Improvement Project (EWHCIP)**, and intends to apply part of the proceeds to payments for goods, works, and related services and consulting services to be procured under this project, which will be jointly financed by the Government of Georgia.

The Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia now invites eligible consulting firms (“Consultants”) to indicate their interest in providing the following Services: **Road Users Satisfaction Survey (Baseline and Follow up).**

The road users’ satisfaction surveys are designed to collect information from road users, including users who are likely to be low-income population or/and females. Road users’ satisfaction survey will be carried out on site in two stages: before and after the completion of works. They will capture public opinion on quality, safety and reliability of (i) highway road sections and (ii) services provided along the highway.

The survey is expected to be launched in August 2022 and includes two phases:

Phase I:

Activity 1: The satisfaction survey of users for following sections with open traffic:

- The section of E-60 Highway between Agara (Gomi) - Zemo Osiauri;
- The section of E-60 Highway between Zemo Osiauri -Surami Interchange;

Activity 2: The Benchmark survey of users for following section under the current construction:

- The Section of E-60 Highway between Surami Interchange - Khevi (this section will be also assessed retroactively: how the road was before construction).

Phase II: Road users satisfaction survey of the conditions following opening of the highway section(s) in 2023: section from Surami interchange to Khevi (this section will be assessed after to finalization of construction and compared with Phase I, Activity 2 results).

This assignment is expected to be completed by November 2023.

The general goal of this survey is to understand how road users satisfied with quality of road and services provided along the sections of highway from Tbilisi - Senaki–Leselidze (Agara bypass-Gomi (Zemo- Osiauri) section, Zemo Osiauri-Chumateleti section and Chumateleti-Khevi section). The goal of the RUSS is to determine the perception of road users about the comfort/convenience, safety, reliability, access timing of the roads they use or live along and which are constructed and improved.

The Terms of Reference for these services is available on the following link:
https://www.dropbox.com/sh/qxctvqngo7cq7q1/AADZbrxTHae8qdFFuYb7nGCPa?dl=0

Required Qualification of the Consultant:

Interested Consultants should provide information demonstrating that they have the required qualifications and relevant experience to perform the Services. The Consultant shall have prior experience in conducting similar studies for infrastructure projects. In particular, the Consultant’s prior experience shall cover survey design and implementation, including data entry, data verification, analysis and reporting. Familiarity with WB policies is an advantage. Expressions of interest should cover, but not limited to: (i) Experience relevant to the project activities, (ii) corporate profile, (iii) key staff resources and qualification.

Experience in the projects relevant to the assignment should be submitted in the form uploaded together with the Terms of Reference.

The shortlisting criteria are:

- General Experience;
- Experience in conducting similar studies for infrastructure projects within the last 5 years (assignments completed in and/or after 2017).

Note: The Road Department reserves its right to verify submitted references and use obtained information for evaluation purposes.

The attention of interested Consultants is drawn to paragraph 1.9 of the World Bank’s Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers January 2011 – Revised July 2014 (“Consultant Guidelines”), setting forth the World Bank’s policy on conflict of interest. Also, please refer to the following specific information on conflict of interest related to this assignment: The consultant shall not receive any remuneration in connection with the assignment except as provided in the contract. The consultant and its affiliates shall not engage in consulting or other activities that conflict with the interest of the client under the contract. The contract shall include provisions limiting future engagement of the consultant for other services resulting from or directly related to the consultant’s services under the requirements of paragraphs 1.9 and 1.10 of the Guidelines.

Consultants may form an association **(Please take into account that form of association acceptable for the World Bank is either sub-consultancy or Joint-Venture and submission must clearly indicate the nature of the association)** to enhance their qualifications. In the case of a joint venture, all the partners in the joint venture shall be jointly and severally liable for the entire contract, if selected. The experience of sub-consultants will not be taken into account while evaluating the corporate experience of the company.

The consultants are strongly advised to limit their Expression of Interest to 30 pages. Company brochures may be included as an Annex, and will not be affected by the limit of 30 pages.

The Consultant will be selected under **Selection Based on Consultant’s Qualification (CQS)** method set out in the World Bank’s Guidelines: Selection and Employment of Consultants [under IBRD Loans and IDA Credits & Grants] by World Bank Borrowers, January 2011, revised July 2014 (“Consultant Guidelines”).

Interested consultants may obtain further information by email: info@georoad.ge

Expressions of Interest accompanied by relevant information mentioned above must be submitted either as a hard copy or electronically to the address below not later than **no later than August 12, 2022, 17:00 hours.**

Name: Salome Tsurtsumia

Position: Deputy Chairperson of Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia

Address: 12 Al. Kazbegi Avenue, Tbilisi, 0160, Georgia

Email: info@georoad.ge

Web-Site: www.georoad.ge

◎ ნდობა

მესამე ვადით

სახელოვანი ქართველი დიდოსტატი ზურაბ აზმაიფარაშვილი ევროპის საჭადრაკო კავშირის პრეზიდენტად მესამედ აირჩიეს.

ბერძნულ სალონიკში გამართულ გენერალურ ასამბლეას დელეგატები კონტინენტის 49 ქვეყნის ეროვნული ფეერაციებიდან ესწრებოდნენ და ფარული ხმის მიცემით ჩვენს თანამემამულეს 4-წლიანი ვადით ნდობა 44-მა მათგანმა გამოუცხადა, 2 წინააღმდეგი იყო და 3 ბიულეტენი ბათილად ცნეს.

ზურაბ აზმაიფარაშვილი საქართველოსა და ევროპის ჩემპიონი, საერთაშორისო ოსტატი, საერთაშორისო დიდოსტატი და სსრკ-ის სპორტის ოსტატი გახლავთ. მას მიღებული აქვს ფიდეს უმაღლესი სამწვრთნელო ჯილდო – „ბოტვინიკის ხე“, ვახტანგ გორგასლის მესამე ხარისხისა და ღირსების ორდენები.

აქვე გაუწყებთ, რომ ახლახან პოლონურ ლუბლინში გამართული სენიორ ქალთა ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული სამტრედიელი **სოფიკო ტერელაძე** გახდა.

◎ მოვლენის წინ

ტოტალური ოფლისღვრა

თვეზე ოდნავ მეტი დარჩა ევრობასკეტის დაწყებამდე, რომლის ერთ-ერთ ჯგუფსაც თბილისი უმასპინძლებს.

ისტორიულ ფორუმამდე საქართველოს ნაკრები გოგა ბითაძისა და სანდრო მამუკელაშვილის გარეშე საწვრთნელ შეკრებაზე მაღალმთიან სლოვენიურ დაბა როგლაში გაემგზავრა, საიდანაც 4 აგვისტოს უნგრეთში გადაინაცვლებს კეჩკემეტში მადიარებთან 2 სპარინგის გასამართავად (5 და 6 აგვისტო).

ილიას ზუროსის 16 რჩეული სამშობლოში დაბრუნების შემდეგ 11 და 13 აგვისტოს ისრაელის ეროვნულ ნაკრებთან მოსინჯავს ძალებს, ხოლო 15 აგვისტოს ელადაში გაფრინდება და აკროპოლისის თასზე ითამაშებს ათენში საბერძნეთთან, თურქეთთან და პოლონეთთან ერთად.

ამასობაში მსოფლიოს ჩემპიონატის მეორე საკვალიფიკაციო რაუნდის მატჩებიც მოახლოვდება – 24 აგვისტოს ნიდერლანდები გვეწვევა, 27-ში კი იტალიას ბრეშიაში ვესტუმრებით. 1 სექტემბერს კი ახალ მულტიფუნქციურ დარბაზში კონტინენტური ფორუმის სტარტია!

ბუნებრივია, მისთვის მონდომებით ემზადებიან „ჯვაროსანთა“ მომავალი მეტოქეებიც. ასე მაგალითად, უძლიერესი შემადგენლობით ჩამოდის ნბა-ს 4 ვარსკვლავით გაძლიერებული **ერგინ ატამანის** გაწვრთნილი თურქეთის ისედაც საუკეთესო გუნდი, ხოლო „სკუადრა აძურას“ ახალმა თავკაცმა **ჯანმარკო პოცეკომ** ოკეანის გაღმიდან 3 ლეგიონერს უხმო.

დავძენთ, რომ 12 და 16 აგვისტოს აპენინელები ფრანგებთან გაივარჯიშებენ, 19-20 აგვისტოს კი ჰამბურგში გერმანიას, სერბეთსა და ჩეხეთს შეხვდებიან ამხანაგურად.

◎ ოვალური ბურთი

ეკონომიკური ეფექტი

„ბორჯღალოსანთა“ ტრიუმფალურ გამარჯვებას იტალიასთან (28:19) ბათუმის „აჭარაბეთ არენაზე“ ცნობილი ბიზნესმენი, წიგნების ავტორი და მსოფლიო ბიზნეს-ტელეარხების ანალიტიკოსი მარკ ჰეინს დენნელი ესწრებოდა.

მან საქართველოსთან ერთად იზეიმა ეს უდიდესი წარმატება, შემოთავაზებულ ინტერვიუში კი იმ ეკონომიკურ ეფექტზე ისაუბრა, რომლის მოტანაც ჩვენი ქვეყნისთვის ქართულ რაგბის შეუძლია.

– საქართველოს მიერ ბათუმში იტალიის დამარცხებას უცხოურ მედიაში არნახული გამოხმაურება მოჰყვა. რამდენად არის შესაძლებელი ამ მომენტის მონეტიზაცია ქართული რაგბისთვის?

– იტალიაზე გამარჯვების ფართო და პოზიტიურმა საერთაშორისო გაშუქებამ უკვე იქონია ეკონომიკური ეფექტი – საქართველოსადმი ინტერესი გაიზარდა, მეტ ადამიანს გაუჩნდა ბათუმში ჩასვლის სურვილი; ბრიტანულმა პრესამ, მაგალითად, საქართველოს 6 ერში შესვლის ღირსეული კანდიდატი უწოდა, რამაც რაგბის სამყაროში ინტრიგა გააჩინა პატარა ქვეყნის მიმართ, რომელსაც დიდი სპორტული პოტენციალი აქვს. ამ ეფექტის რეალიზება უკვე შეძლეს ახალმა ზელანდიამ, შოტლანდიამ, უელსმა, ტონგამ, ფიჯიმ – რაგბიში მიღწევების გამო მსოფლიო პრესა იმდენად ხშირად წერს მათზე, რომ ეს გარდაუვალად იწვევს ტურისტული ტალღის აგორებას.

– კიდევ ერთ ეფექტად ალბათ არგენტინის ნაკრების ინტერესი შეიძლება ჩაითვალოს, რომ მსოფლიო ჩემპიონატის წინ წვრთნები ბათუმში გაიაროს. ეს იქნება პირველი შემთხვევა, როდესაც მსოფლიო თასის წინ, მისი მონაწილე გუნდი წვრთნას საქართველოში გაივლის. შეიძლება ითქვას, რომ ამ სფეროსადმი ბიძინა ივანიშვილის ასობით მილიონიანმა დახმარებამ უკვე დაიწყო ქართული რაგბისთვის შემოსავლის მოტანა?

– რა თქმა უნდა, საწვრთნელი ინფრასტრუქტურა საქართველოში მართლაც მსოფლიო დონისაა, და უცხოური გუნდებისთვის გასვლითი ვარჯიშების ჩასატარებლად მიმზიდველია; ინვესტიციამ, რაც ამაში ჩაიდო, უკვე გააჩინა საქართველო მსოფლიო რაგბის რუკაზე, და, შედეგად – არა მხოლოდ ბილეთების გაყიდვით მიიღებს ქართული რაგბი შემოსავალს, არამედ ინფრასტრუქტურის გაქირავებითაც, – ამას ემატება ავიაბილეთების რეალიზაცია, სასტუმროების ჯავშნები, რესტორნების დატვირთვა; ცალკე ბიძგს იღებს უძრავი ქონების ბაზარი დეველოპმენტის სახით, რომელიც სტადიონებისა და სპორტული კომპლექსების გარშემო ჩნდება. რაგბის გულშემატკივარი ტრადიციულად მაღალშემოსავლიანია და ის მაღალი კატეგორიის სერვისებსა და პროდუქტს მოიხმარს.



– სამეფო ოჯახებს გულისხმობთ, რომელთაც ტრადიციულად განსაკუთრებული ინტერესი აქვთ რაგბისადმი?

– არამხოლოდ, თუმცა მათაც – დიახ, – ცნობილი ფაქტია სამეფო ოჯახების ინტერესი და უშუალო ჩართულობა რაგბიში, რაც ამ სპორტისადმი ინტერესს კიდევ უფრო ზრდის. რაგბის განუყოფელი ნაწილია ოქსფორდის, კემბრიჯის, იტონის უნივერსიტეტები და კოლეჯები, სადაც არისტოკრატია იღებს განათლებას და ამ სპორტის სიყვარული თაობიდან თაობებს გადაეცემა. არისტოკრატიის ცნობილი სახეები არა მხოლოდ ესწრებიან რაგბის მატჩებს, არამედ თავადაც მონაწილეობენ ამ სპორტში, რაც რაგბის ხიბლს ზრდის და ერთგვარ გლამურს მატებს მას, – ვფიქრობ, ამ ხაზის განვითარების პერსპექტივა საქართველოშიც შესაძლებელია.

– ბათუმში გულშემატკივრის ნახევარს ქალები შეადგენდნენ – რამდენად პერსპექტიულია ეს რაგბის ეკონომიკისთვის.

– იტალიასთან მატჩს ჩემს პარტნიორ ქალთან ერთად ვესწრებოდი, რომელიც სერბეთიდან არის და რაგბიზე პირველად იყო, – იმდენად აღფრთოვანდა სანახაობით, რომ ამ ერთი გამოცდილების შემდეგ რაგბის ფანი გახდა. ვფიქრობ, სწორი მარკეტინგით სავსებით შესაძლებელია რაგბის გარშემო ქალი და კაცი გულშემატკივრების თანაბრად შემოკრება, რაც ამ სპორტში ჩადებული ინვესტიციის უკუგების პოტენციალს გაზრდის. ბათუმის მატჩმა გვაჩვენა, რომ ეს რეალობაა. ვფიქრობ, **სოსო ტყემალაძე** ბრწყინვალედ უძღვება საქმეს, იგი უთუოდ სწორი ფიგურაა საქართველოს რაგბის ხელმძღვანელად – სწორ მენეჯმენტს უწევს სპორტულ მიმართულებასაც და მარკეტინგულსაც. ამ მხრივ მომწონს, რომ ცდილობს რაგბი ქვეყნის ბრენდის ნაწილად აქციოს, დაუკავშიროს მის ტრადიციებსა და ისტორიას. ვფიქრობ, რაგბი შექმნილია საქართველოსთვის და საქართველო კი ნაყოფიერი ნიადაგია რაგბისთვის. ეს არის სპორტი, რომელიც ბევრი სხვა სახეობის ელემენტებს აერთიანებს, შესაბამისად, ის მიღწევები, რომლებიც საქართველოს ჭიდაობაში, ძალოსნობაში ან თუნდაც ჭადრაკში აქვს, შეიძლება რაგბიმ გამოიყენოს.

– უფრო ფართო კუთხით დანახულ ეკონომიკას როგორ აფასებთ საქართველოში?

– მე საქართველოს მიმართ უდიდესი ოპტიმიზმით ვარ სავსე, შარშან საქართველოს მოქალაქეობაც მივიღე და ამ ქვეყანაში ინვესტირებასაც განვიხილავ. ვფიქრობ, ქვეყანა კარგად უმკლავდება პანდემიის, უკრაინაში ომისა და ინფლაციის გამოწვევებს, – ორნიშნა ეკონომიკური ზრდა აქვს, რაც ბრიტანეთისას ათჯერ აღემატება. დიდ პერსპექტივას ვხედავ მიზნობრივ ტურიზმში – სპორტული, სამედიცინო, ღვინის, ეკო – მიმართულებით, – ეს ბუტიკური სერვისებია და საქართველომ, როგორც პატარა ქვეყანამ, სწორედ ასეთ ნიშურ და ძვირადღირებულ ბიზნესზე უნდა გაკეთოს აქცენტი. საინვესტიციო პოტენციალს ვხედავ აგრო-წარმოებაში, ჰიდროენერგეტიკაში, ტექნოლოგიურ სტარტაპებში და ასევე კაპიტალის კერძო ფონდების განვითარებაში, – ამაზე მუდმივად ვსაუბრობ საერთაშორისო ბიზნეს-მედიაში.

მინაწერი: ამ დღეებში პოლონეთისა და გერმანიის დამატებით რაგბი ევროპამ მისი ჩემპიონატის მონაწილეთა რაოდენობა 8-მდე გაზარდა.

შეგახსენებთ, რომ „ბორჯღალოსნებს“ ეს ტურნირი 14-ჯერ აქვთ მოგებული.

მოკლედ

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. რომი. 17-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატი. საქართველოს ნაკრები – 2 ოქრო (ანრი ფუტკარაძე – 71, გიორგი აივაზიანი – 92,), 3 ბრინჯაო და გუნდური მესამე ადგილი.

ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალი. ბანსკა-ბისტრიცა (სლოვაკეთი). საქართველოს დელეგაცია – 3 მედალი (ოქრო – დავით ლომიტაშვილი, ბრინჯაო – დავით ქარელი და თორნიკე მოსიაშვილი, სამივე – ძიუდო).

ფეხბურთი. ინგლისი. ქალთა ევროპის ჩემპიონატი. ნახევარფინალი. ინგლისი – შვედეთი 4:0, გერმანია – საფრანგეთი 2:1.

კვირას „უემბლიზე“ გასამართავ ფინალზე უკვე 90 ათასი ბილეთია გაყიდული.

◎ კორტზე

ოცნების გუნდი

ჯოკოვიჩი, ნადალი, ფედერერი, მარეი და გუნდის კაპიტანი ბიორნ ბორგი – ასეთი გალაქტიკური შემადგენლობით ითამაშებს ევროპის ნაკრები 23-25 სექტემბერს ლონდონში დანიშნულ ლეივერის თასის გათამაშების შეხვედრაში მსოფლიოს ნაკრების წინააღმდეგ.

„ეს ერთადერთი ტურნირია, რომელშიც შემიძლია ვითამაშო იმ ჩოგბურთელებთან ერთად, რომლებთანაც, ჩვეულებრივ, კონკურენცია მაქვს. ჩემს ყველაზე დიდ მეტოქეებთან – რაფასთან, როჯერთან და ენდისთან გაერთიანება მართლაც უნიკალური მომენტი იქნება ჩვენი სპორტის ისტორიაში“ – აღტაცებულია სერბი ლეგენდა, რომელსაც ამას წინათ 35 წელი შეუსრულდა, მაგრამ კარიერის დასრულებას ჯერ არ აპირებს.

სანთელი

გამოსათხოვარი წერილი სულიერ დედას – ფილოლოგ ნელი შამუგიას

ნელი შამუგია გაკვეთილზე, გური ოტობაია ბოლო მწკრივზე მესამე, მარჯვნიდან მარცხნივ

დიახ, სულიერი დედა იყო ჩემთვის, აწ ნეტარხსენებული, ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ჩემი, ნელი შამუგია. დაწყებითის შემდეგ მის კლასში მოვხვდი და ჩემი ბედნიერების წუთებიც იქიდან დაიწყო. ამ სულმნათმა ადამიანმა მყისვე აუღო ალღო ჩემს ლიტერატურულ მიდრეკილებებს და არაფერს იშურებდა ჩემი უნარების ჩამოსაძერწად. როცა თანაკლასელები პროგრამულ „გარჩევებს“ და „შინაარსებს“ იზუთხავდნენ, მე, ერთადერთს, მქონდა პატივი თავისუფალი თემები მეწერა ბუნებაზე, მოვლენებზე განცდებზე. დიახ, განსაკუთრებული აურათი ვიყავი გარემოსილი მისგან. სკოლაში მისვლას ვერვინ მასწრებდა, მისი იმედები რომ გამემართლებინა. ზამთრობით შუშას ვჩუხდი და ბუხარს ვაგიზგიზებდი ხოლმე. სიყვარულისა და ერთგულების განსახიერება რომ იყო ნელი მასწავლებელი, ამას მისი ანკარა ცხოვრება გვკარნახობდა ყველას, სულ მეუღლის, ნეტარხსენებული აკაკი შენგელიას გვერდით ტრიალებდა. სამასწავლებლოში ერთ სკამზე ისხდნენ. აფხაზებმა თვალწინ რომ დაუხვრიტეს სათაყვანებელი ადამიანი და სამზადში დაუნაცრეს, ისიც იმ ნაცარში იქნებოდა გახვეული, ვიღაც არაკაცის კონდახის დარტყმისგან გულწასული ლაფაროში რომ არ გდებულიყო. ნაკვერჩხლების ცვენამ მოიყვანა გონს ჩემი სულიერი დედა, ჩემი მასწავლებელი, ჩემი ნელი შამუგია.

სასკოლო თემებს ცხადია, გულდინჯად ვეუფლებოდი, მაგრამ სულ მისი მითითებული მწერლებისკენ გამირბიდა თვალი — ჰომეროსი და დანტე, შექსპირი და სერვანტესი, ტოლსტოი და დოსტოევსკი. აქეთ დედა-ჩემის თვალთვალს ვერ ავუდიოდი. იცოდა, კლასგარეშე ლიტერატურას ვაკვდებოდი და მკენწლავდა, სადაც წამასწრებდა. სამედიცინო სასწავლებლისკენ მიმიზნებდა და „ბიოლოგიას სერვანტესი უშველის, ქიმიას დოსტოევსკი წაადგება, ფიზიკას ნელი შამუგხე გაუმკლავდება?! ჯერ სასკოლო პროგრამა აითვისე და დანარჩენიც მოესწრებაო“, მიცაცხანებდა გამუდმებით. გაგონილი ჰქონდა, მის მწყაზარ ასულზე რომ ვიყავი უნუგეშოდ შეყვარებული და ამის გამოც გადამიკრავდა ხოლმე: „ბარემ ნელი შამუგიას შვილად ჩაეწერეო“. „ჩავეწერები-მეთქი“, დავახეთქე და შეწყდა მერე კამათი ამ მიმართულებით.

ნელი მასწავლებელი იყო ჩემი ნათლიდედა. ჯერ ბულოხა (დაბდური) შემარქვა. მერე „სულ ვიტალის ოტობაიასავით არისო“, ეთქვა კოლეგებში. მას მხედველობაში ჰქონდა მწერალ ვლადიმერ ალფენიძის მითოლოგიური ნოველა ჟინი ანთარისა და მწყემსი ოტობაიას პაექრობის შესახებ უკვდავებაზე. იქნებ ამანაც შეუწყო ხელი ჩემი ფსევდონიმის, გური ოტობაიას შერჩევას, მოგვიანებით ოტობაიელების სახალხო კრების დასტურლამალით რომ მომენიჭა მწერლობაში ახალ ფეხშედგმულს.

97 წელიწადი შეჰყურებდა ოტობაიის მიწა-წყალს, მის ჭირ-ვარამს; წუთითაც არ მიუტოვებია ამდენი ხნის განმავლობაში და ამიერიდან ხომ სულ მასთან ერთად ივლის, მასთან ერთად იმზეგრძელებს, ჩემი სულიერი დედა, ჩემი ნელი მასწ!

გური ოტობაია,
მწერალი. 25. 07. 2022 წ.

დაკავებულია თაღლითების მთელი ხროვა!

თბილისში, იმერეთში, სამეგრელოში, გურიასა და აჭარაში 12 პირი დააკავეს, ხოლო 6 პირს ბრალი წარედგინა, — ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, ჯგუფის მიერ ჩადენილ თაღლითობისა და მითვისების ფაქტებზე დაკავებული არიან: 1997 წელს დაბადებული თ.თ., 1987 წელს დაბადებული ა.ჩ., წარსულში ნასამართლევი 1976 წელს დაბადებული კ.დ., 1997 წელს დაბადებული ა.ფ., 1997 წელს დაბადებული ი.ჩ., წარსულში ნასამართლევი 1995 წელს დაბადებული ა.ს., 1992 წელს დაბადებული შ.შ., 1985 წელს დაბადებული გ.გ., წარსულში ნასამართლევი 1984 წელს დაბადებული უ.ბ., 1995 წელს დაბადებული ხ.კ., 1994 წელს დაბადებული ზ.ხ. და წარსულში ნასამართლევი 1996 წელს დაბადებული პ.მ. ამავე ფაქტზე ბრალი დაუსწრებლად წარედგინათ: 1988 წელს დაბადებული ც.ნ., 1978 წელს დაბადებული თ.ქ., 1991 წელს დაბადებული თ.ჩ., 1972 წელს დაბადებული ქ.თ., 1984 წელს დაბადებული ი.თ. და 1990 წელს დაბადებული მ.თ.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა, წინასწარი შეთანხმებით, ერთმანეთზე გააფორმეს ლიზინგის ხელშეკრულებები, შეცდომაში შეიყვანეს სალიზინგო კომპანიის წარმომადგენლები, შემდეგ კი არც ერთი გადახდა არ განუხორციელებიათ კომპანიის მიმართ და არც მანქანები დაუბრუნებიათ სალიზინგო კომპანიისთვის. ბრალდებულები, დანაშაულებრივი ქმედებების შედეგად, მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ 20-მდე ავტომანქანას, სალიზინგო კომპანიას კი 200 000 ლარამდე მატერიალური ზიანი მიაყენეს“, — აღნიშნულია შსს-ს განცხადებაში.

გამოძიება მიმდინარეობს საქათველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლებით. დანაშაული 4-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ტვირთნაკადის მოზიდვის თვალსაზრისით სიძნელეები უფრო ყაზახეთის და აზერბაიჯანის ტერიტორიებზეა, ვიდრე საქართველოს მხარეს!

ტვირთების **გადაზიდვის და სატრანზიტო საკითხები ბოლო პერიოდში საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური თემაა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ვიზიტებისას მოლაპარაკებების მთავარი საგანიც უზბეკეთის, თურქმენეთის და ყაზახეთის წარმომადგენლებთან აზიასა და ევროპას შორის ტვირთების გადაზიდვა და კასპიისა და შავი ზღვების სატრანზიტო გზების უსაფრთხოება იყო.**

უზბეკეთის პრემიერმა საქართველოს პორტებით, ევროპაში ტვირთების ტრანსპორტირების ინტერესი ღიად გამოხატა. თურქმენეთის პრეზიდენტის სერდარ ბერდი მუჰამედოვთან შეხვედრისას მთავარი განსახილველი საკითხები კი კასპიისა და შავი ზღვების სატრანზიტო გზების უსაფრთხოება იყო. ყაზახეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრ ალიხან სმაილოვთან შეხვედრაზე ხაზი გაესვა შუა დერეფნის სრულმასშტაბიანი ფუნქციონირების მნიშვნელობას. მხარეებმა არსებული თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების და გაფართოების მზაობა გამოთქვეს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ბრუნვის გაზრდისთვის ყველა შესაძლებლობა უნდა იყოს გამოყენებული.

„სატრანსპორტო დერეფნის კვლევის ცენტრის“ დირექტორი პაატა ცაგარეიშვილი „კომერსანტთან“ აცხადებს, რომ შუა დერეფანთან მიმართებით, ტვირთნაკადის მოზიდვის კუთხით სიძნელეები უფრო ყაზახეთის და აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა, ვიდრე საქართველოს ტერიტორიაზე.

„ძირითად აქცენტს აკეთებენ საქართველოს ინფრასტრუქტურაზე, გამტარუნარიანობაზე, არადა რეალურად საქართველოს მონაკვეთის მხოლოდ 7%-ია სატრანსპორტო დერეფნის, დანარჩენი სირთულეების ერთობლიობა არის სხვა ქვეყნების სატრანსპორტო ინფრასტრუქტურებზე განლაგებული, აქედან გამომდინარე, არსებობს ასეთი პრინციპი, რომ თუ სხვა ქვეყნებს არ აქვს მოგვარებული გამტარუნარიანობის პრობლემები, ამით ზარალდება მთლიანად დერეფანი და მათ შორის საქართველო. აქ საუბარია ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობის ერთობლივ კოორდინირებულ ქმედებებზე. ეს საკითხი მნიშვნელოვანია.

გამომდინარე აქედან, აბსოლუტურად გამართლებულია მეორე კატეგორიის ქვეყნებთან ვიზიტები, მათ შორის უზბეკეთში, თურქმენეთში და ყაზახეთში. ამ ყველაფრის მიზანი უნდა იყოს კოორდინირების მაღალი ხარისხის მიღწევა ახალი ტვირთნაკადების წარმოშობის პარალელურად. კოორდინირებაში ვგულისხმობ არა მარტო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობას, არამედ იურიდიულ ასპექტებს, იმისათვის რომ ტვირთნაკადების გადმორთვა მოხდეს.

გამტარუნარიანობის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პრობლემები უფრო ყაზახეთის და აზერბაიჯანის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაში დევს. ყაზახეთის დაინტერესება პირველ რიგში არის ის, რომ თავისი საექსპორტო პროდუქცია, რომელიც ადრე რუსეთის გავლით მიდიოდა, შემდგომ ბალტიისპირეთის ქვეყნებში აიღო გეზი, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ რუსეთის ტერიტორია უნდა გაევლოთ, მან დაბლოკა ყაზახური ტვირთების ბალტიისპირეთში გადამისამართების შესაძლებლობა, შესაბამისად ყაზახეთი დარჩა საქართველოზე გამავალი დერეფნის ამარა, ამიტომ ის მაქსიმალურად დაინტერესებულია, რომ თავისი პოტენციალი გაუშვას ჩვენი ქვეყნის გავლით. თუმცა ჩინეთიც დაინტერესებულია, რომ ეს დერეფანი გამოიყენოს.

ყაზახეთმა თავის მხრივ გააჟღერა აზრი, რომ ის პირველ რიგში თავისი ტვირთების ექსპორტს აძლევს პრიორიტეტს და არა ჩინურ ტვირთნაკადს, სინქრონულად ეს ორივე წარმოდგენილია, შესაბამისად ყაზახეთისთვის ჩვენ ძალიან მნიშვნელოვანი ვართ. ის წლების განმავლობაში მიბმული იყო რუსეთზე და უგულებელჰყო საქართველო, მინიმიზირება გაუკეთა ამ ყველაფერში, ამიტომ დღესდღეობით ის აღმოჩნდა ყველაზე რთულ მდგომარეობაში. ყაზახეთმა დაგვიანებით, მაგრამ უკვე დაიწყო თავისი ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობის გასაზრდელად შესაბამისი ქმედებები. მის პორტებს 27 მლნ ტონა ტვირთის გატარება შეუძლიათ, მაგრამ არ არიან ადაპტირებული ბაზარზე არსებული ტვირთების გასატარებლად, მაგალითად ნედლი ნავთობის და მსგავსი პროდუქტის. ბაზრის გამოძახილზე არ არიან ორიენტირებულნი. დღესდღეობით, შუა დერეფანთან მიმართებით ტვირთნაკადის მოზიდვის კუთხით სიძნელეების ერთობლიობა უფრო ყაზახეთის და აზერბაიჯანის ტერიტორიაზეა. აზერბაიჯანსაც ანალოგიურად, სავაგონო პარკი სჭირდება.

მარტო საქართველოს დადანაშაულება არასწორია, რეგიონშიც უფრო დიდი პრობლემებია. აუცილებელია ამ პრობლემების გაერთიანება და საბოლოო ჯამში გარკვეულ ვადაში გაწერილი ინფორმაციის დადება“, — აღნიშნავს პაატა ცაგარეიშვილი.



საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინიციატივით, დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ჭაბუა ამირეჯიბის დაბადებიდან 100 წლისთავის აღსანიშნავად, სახლზე, სადაც მწერალმა „დათა თუთაშხია“ შექმნა, მემორიალური დაფა გაიხსნა.

სამინისტროს ხელშეწყობით დამზადებული მემორიალური დაფა, ჭაბუა ამირეჯიბის პროფილის ბარელიეფითა და შესაბამისი ტექსტით გაწყობილი, ამიერიდან, ალექსანდრე ყაზბეგის 35-ბ-ში მდებარე შენობის ფასადს დაამშვენებს. სწორედ აქ ცხოვრობდა მაშინ, როცა „დათა თუთაშხიას“ წერდა.

მემორიალური დაფის გახსნას საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი, მინისტრის პირველი მოადგილე კარლო სიხარულიძე და ჭაბუა ამირეჯიბის ოჯახის წევრები ესწრებოდნენ.

იუბილესთან დაკავშირებით, ასევე კულტურის სამინისტროს ხელშეწყობით, მომზადდა და გამოიცა ორენოვანი წიგნი-ალბომი „ჭაბუა ამირეჯიბი – 100“. გამოცემის წარდგინება გაიმართა მწერალთა სახლში, სადაც შეკრებილ საზოგადოებას მინისტრმა სიტყვით მიმართა და მწერლის შემოქმედებისა და მოღვაწეობის მნიშვნელობაზე ისაუბრა.

მთაწმინდელი კლასიკოსის აღიარება

კულტურის სამინისტროს თაოსნობით, ჭაბუა ამირეჯიბის მემორიალური დაფა გაიხსნა და წიგნ-ალბომის – „ჭაბუა ამირეჯიბი – 100“ პრეზენტაცია გაიმართა

წიგნ-ალბომში შესულია მწერლის საოჯახო არქივში დაცული მასალები, ფოტოსურათები, სხვადასხვა ენაზე გამოქვეყნებული „დათა თუთაშხიას“ ამსახველი ფოტოები და

განმარტებითი ტექსტები. ასევე, მწერლის ხელნაწერთა ფრაგმენტები, წერილები გადასახლებიდან და სხვადასხვა საილუსტრაციო მასალა.

ჭაბუა ამირეჯიბის ბიოგრაფია უნიკალური და მრავალფეროვანია. ის გახლდათ მწერალი, პარლამენტარი, რამდენიმე კინოორგანიზაციის, ასევე, ფონდის დამაარსებელი და ხელმძღვანელი.

მწერალი 2010 წელს ბერად აღიკვეცა და სახელად დავითი ეწოდა.

თუმცა, ჭაბუა ამირეჯიბის სახელი, უპირველესად, „დათა თუთაშხიას“ უკავშირდება – ეპოქალურ რომანს, რომელმაც ის ქართული ლიტერატურის კლასიკოსად და მთაწმინდის ბინადრად აქცია.

ჭაბუა ამირეჯიბს მიღებული ჰქონდა არაერთი ლიტერატურული პრემია, დაჯილდოებული იყო ვახტანგ გორგასლის I ხარისხის ორდენით.



ახალი პროექტი - საკუთარი ნახატების დაწვა!..

ბრიტანელმა მხატვარმა ახალი NFT პროექტის ფარგლებში თავისი ათასობით ტილოს დაწვა გადაწყვიტა. დემიენ ჰირსტის პროექტის სახელწოდებაა The Currency („ვალუტა“). მის ფარგლებში მხატვარმა 2016-2021 წლებში ზეთით ტილოზე 10 ათასი ნახატი შეასრულა, შემდეგ ყველა მათგანი NFT-დ გარდაქმნა და თითოეული 2 ათას დოლარად გაყიდა.

NFT კრიპტოგრაფული ტოკენების სახეობაა, რომელთა თითოეული ეგზემპლარი უნიკალურია და ვერ გადაიცვლება, არ ჩანაცვლდება სხვა ანალოგიური ტოკენით, თუმცა ზოგადად, ტოკენები ურთიერთჩანაცვლებადია. მყიდველებს, რომლებმაც NFT შეიძინეს, არჩევანი მისცეს – ნამუშევრის ფიზიკურ ასლზე გადაცვლა ან ელექტრონული ვერსიის შენარჩუნება. იმ ნახატებს, რომელთა მფლობელებმაც NFT-ს შენარჩუნება გადაწყვიტეს, ჰირსტი ლონდონში, საკუთარ გალერეაში ყოველდღიურად დაწვავს. პროექტი 9 სექტემბერს დაიწყება და ოქტომბერში დასრულდება.

ამ ეტაპზე NFT ფიზიკურ ასლზე 4 751-მა მყიდველმა გადაცვალა, 5 249-მ კი NFT-ს დატოვება არჩია. **„ეს პროექტი ხელოვნებისა და ვალუტის საზღვრებს იკვლევს – როდესაც ხელოვნება იცვლება და ვალუტა ხდება და როდესაც ვალუტა ხდება ხელოვნება. დამთხვევა არ არის, რომ სახელმწიფოები ხელოვნებას იყენებენ მონეტებსა და კუპიურებზე. ამას იმისთვის აკეთებენ, რომ ფულის გწამდეს. ხელოვნების გარეშე რთულია რაღაცის გვწამდეს“,** – ამბობს მხატვარი.

შიდსისგან კიდევ ერთი ადამიანი განიკურნა

კაცი, რომელსაც აივ დადებითის დიაგნოზი ჯერ კიდევ 1980-იან წლებში დაუსვეს, სავარაუდოდ სრულად განიკურნა ვირუსისგან. ეს მხოლოდ მეოთხე ასეთი შემთხვევაა მედიცინის ისტორიაში. ამასთან, პაციენტი ლეიკემიით იყო დაავადებული და სწორედ ამ დაავადების გამო მკურნალობდა. ექიმებმა გადაწყვიტეს, რომ სიმსივნით დაზიანებული სისხლის უჯრედების შესაცვლელად მას ტვინის ძვლის გადანერგვა ესაჭიროება. დონორს კი დნმ-ის იშვიათი მუტაცია ჰქონდა, რომელიც ადამიანს ვირუსისადმი სენშეუვალს ხდის.

გადანერგვის შემდეგ ვირუსი პაციენტის სხეულიდან თანდათან ქრებოდა. ახლა გამოჯანმრთელებული, რომელმაც ანონიმურობა არჩია, 66 წლის არის. ის უკვე 17 თვეა რემისიაში იმყოფება და აივის ნეიტრალიზაციისთვის საჭირო მედიკამენტებს აღარ იღებს. მედიკოსებმა მას „პაციენტი იმედის ქალაქიდან“ შეარქვეს – ასე ეძახიან კალიფორნიის ქალაქ დუარტეს, სადაც კაცი მკურნალობდა. პირველი კაცი, რომელიც აივისგან განიკურნა თიმოთი რეი ბრაუნია, რომელმაც ინფექცია 2011 წელს დაამარცხა. ბოლო 3 წლის განმავლობაში კიდევ 3 ანალოგიური შემთხვევა დადასტურდა. ამასთან, დუარტეს კლინიკის სპეციალისტები აღნიშნავენ, რომ ძვლის ტვინის გადანერგვა რთული პროცედურაა, რომელსაც მრავალი უკუჩვენება აქვს და მისი ჩატარება ყველასთვის არ შეიძლება. დღეს მსოფლიოში აივით დაახლოებთ 38 მილიონი ადამიანია ინფიცირებული.

აღმოაჩინეს უმსხვილესი ვარდისფერი ბრილიანტი

ანგოლაში ბოლო 300 წლის განმავლობაში ყველა დიდი ვარდისფერი ბრილიანტი აღმოაჩინეს. 170-კარატიან ბრილიანტს „ლალო როუზი“ დაარქვეს. მისი წონა 34 გრამია. ის ბრილიანტების 2ა კატეგორიას მიეკუთვნება, რაც ნიშნავს, რომ პრაქტიკულად უნაკლოა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ბრილიანტს აუქციონზე გაიტანენ. მას მაღაროს მფლობელი კომპანია გაყიდის. აქამდე ყველაზე დიდი ვარდისფერი ბრილიანტი „დარია-ი-ნურია“ იყო, რომელიც ინდოეთში აღმოაჩინეს.

მოკლულია ტერორისტი მაკაკა

იაპონიის ქალაქ იამაგუჩიში, მონადირეების სპეციალურად შექმნილმა ჯგუფმა 4 წლამდე ასაკისა და დაახლოებით ნახევარი მეტრის სიმაღლის მაკაკა მოკლა... მაკაკა ერთ-ერთი იყო მაიმუნების იმ ჯგუფიდან, რომელიც, ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში, 50-მდე ადამიანს დაესხა თავს და სხვადასხვა დაზიანება მიაყენა.

ქალაქის ოფიციალური პირები ამბობენ, რომ მაიმუნების ჯგუფი თავდაპირველად თავს მხოლოდ ბავშვებსა და ქალებს ესხმოდა, ბოლო დროს კი, პრიმატების სამიზნე მოხუცები და ზრდასრული კაცებიც გახდნენ. მაკაკას მოკვლის შემდეგ, სხვადასხვა დასახლებაში, თავდასხმების შემთხვევები არ შეწყვეტილა – ჯგუფის სხვა წევრი მაიმუნების ძებნა კვლავ გრძელდება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჟავჟავაძის გამზირი №17ა

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძოგულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. გაღდავაძის №3
 კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 1 აგვისტოს

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.7791; ევრო - 2.8208
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3522;
100 რუბლი - 4.5683; თურქული ლირა - 0.1576;
აზერბაიჯანული მანათი - 1.6390;
1000 სომხური დრამი - 6.8367.

ამინდი 29 ივლისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +17, დღე +33
მთიანი რაიონები - ღამე +12, დღე +33
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +17, დღე +31
მთიანი რაიონები - ღამე +13, დღე +31
თბილისი: ღამე +21, დღე +32

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge